www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი 16 ივლისი, 2009 წელი. №159 (2197) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

## ინგუშეთში ადამიანის უფლებათა ცნობილი დამცველი მოკლეს

A2



## აფრიკელი ლიდერი ჰააგის ტრიბუნალის წინაშე წარდგა

A4



## ბუნდოვანი პერსპექტივა

A8



# მოსკოვი სირაქლემას პოზაში

დიმიტრი ავალიანი

*მედვედევის ცხინვალში ჩასვლამ მსოფლიოს აღშფოთება გამოიწვია. რუსეთის ეს ქმედება შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა დაგმეს. მოსკოვში ცდილობენ, მწვავე საერთაშორისო რეაქცია არ შეიმჩნიონ. თუმცა, ექსპერტების აზრით, რუსეთის პრეზიდენტის ეს საქციელი მოსკოვის იზოლაციას გააღრმავებს და საქართველოსადმი აშშ-ს მხარდაჭერას კიდევ უფრო განამტკიცებს. გუშინ ცნობილი გახდა, რომ აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი თბილისს 23 ივლისს ეწვევა.*

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის ცხინვალში ვიზიტი დაგმო. **"არა მგონია, ეს ვიზიტი რაიმე წინგადადგმული ნაბიჯი იყოს რეგიონში სტაბილურობის განსამტკიცებლად,"** - განაცხადა ბრიფინგზე აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა იან კელიმ.

გაგრძელება A3 გვერდზე



*იან კელი: "დიდი შვიდეულის" ქვეყნები, ევროკავშირი და ნატო არ ცნობენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას.*

# ცხელი საპარლამენტო ზაფხული

გიორგი ასანიშვილი

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის ცხინვალში ჩასვლას საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთხელ აპროტესტებს და ამ ფაქტს სპეციალური განცხადებით ეხმაურება. რიგგარეშე სესიის გუშინდელ სხდომაზე შემუშავებულ დოკუმენტში მედვედევის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის "უკანონო გადაკვეთა" მკაცრად არის დაგმობილი. განცხადებაში ასევე გამოთქმულია შეშფოთება რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების საბოლოო ანექსიისკენ გადადგმული ნაბიჯისა და ეთნიკური წმენდის დაკანონების მცდელობის გამო.

საქართველოს პარლამენტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ქმედება ეწინააღმდეგება როგორც საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ ნორმებს, ასევე თავად რუსეთის მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს, მათ შორის - ეუთო-ს ბუდაპეშტის, ლისაბონის და სტამბოლის სამიტების დეკლარაციებს.

ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას, რუსეთის ფედერაციას მოეთხოვოს: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიის დეოკუპაცია; ევროკავშირის შუამავლობით მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების სრულად შესრულება; მის მიერ ჩატარებული ეთნიკური წმენდის შედეგების აღმოფხვრა; ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დაშვება ოკუპირებულ ტერიტორიებზე; ამ ტერიტორიების აღირების უკან გაწვევა და თავის შეკავება იმგვარი მოქმედებებისგან, რომლებიც საფრთხეს უქმნის საქართველოს (ან რუსეთის სხვა მეზობლების) სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

**"რუსეთის ფედერაციის მიერ უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო ძალების განლაგება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ "საზღვრებზე" არის სამხედრო ოკუპაციის გზით დაფიქსირებული "საზღვრის" დაკანონების მცდელობა, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ყველა ძირითად ნორმას,"** - აღნიშნულია პარლამენტის განცხადებაში.

გაგრძელება A3 გვერდზე

# უბედური შემთხვევა ირანში

*მსოფლიო მედიის ყურადღება გუშინ ირანში მომხდარი ავიაკატასტროფისკენ იყო მიმართული. "ტუ-154", რომელიც თეირანი-ერევნის რეისს ასრულებდა, აფრენიდან 16 წუთში ჩამოვარდა, ნამსხვრევები 200 კვადრატული მეტრის ფართობზე მიმოიფანტა, თვითმფრინავის დაცემის ადგილზე კი 10 მეტრის სიღრმის თხრილი წარმოიქმნა. "ბი-ბი-სი"-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დაიღუპა ბორტზე მყოფი 170-ვე ადამიანი, რომელთა უმეტესობა სომხეთის და საქართველოს მოქალაქეები იყვნენ.*

ნათია მსხილაძე

კომპანია "კასპიან ეარლაინსის" კუთვნილი ავიალაინერი ქალაქ ქაზვინთან ჩამოვარდა. რეისს ერევანში 12.00 საათისთვის ელოდებოდნენ. ადგილზე მისულ მაშველთა ინფორმაციით, თვითმფრინავი მთლიანად განადგურდა. მგზავრების გადარჩენის შანსები მაშველებმა თავიდანვე გამორიცხეს. **"თვითმფრინავი მთლიანად განადგურებულია, ნამსხვრევებს კი ცეცხლი უკიდია. ეკიპაჟის წევრებიდან და მგზავრებიდან ცოცხალი არავინ გადარჩენილა,"** - განაცხადა "ფრანს პრესთან" საუბრისას ქალაქ ქაზვინის საგანგებო სიტუაციათა სამსახურის უფროსმა.

ირანული ტელეკომპანიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, "ტუ-154"-ის ჩამოვარდნის მიზეზი ძრავში გაჩენილი ხანძარი გახდა.

თვითმფრინავის მფლობელ ავიაკომპანია "კასპიან ეარლაინსის" ინფორმაციით, დაიღუპა ეკიპაჟის 16 წევრი და 154 მგზავრი, მათ შორის, ორი ბავშვი.

**"თვითმფრინავს, რომელიც ასრულებდა თეირანი-ერევნის რეისს, ერთ-ერთ ძრავში ხანძარი გაუჩნდა, რის გამოც პილოტები შეეცადნენ, ავარიული დაშვება განეხორციელებინათ, თუმცა თვითმფრინავს ჰაერშივე მოედო ცეცხლი და ჩამოვარდა,"** - განაცხადეს "კასპიან ეარლაინსის" ხელმძღვანელებმა.

სომხეთში საქართველოს საელჩოს ინფორმაციით, ირანში ჩამოვარდნილ "ტუ-154"-ის ბორტზე სომხეთში საქართველოს საელჩოს ფინანსური მენეჯერი გივი ჭკადუა და თეირანში საქართველოს მისიის ხელმძღვანელ ნიკოლოზ ნახუცრიშვილის მეუღლე ნათელა ნიკოლავა იმყოფებოდნენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

## სამთავრობო ცვლილებების შესაძლებლობას სამინისტროებში კომენტარს არ უკეთებენ

სააგენტო "ინტერპრესნიუსში" გავრცელებულ ინფორმაციას საქართველოს მთავრობაში დაგეგმილი საკადრო ცვლილებების შესახებ, თითქმის ყველა სახელმწიფო უწყებაში ერთნაირი რეაქცია მოჰყვა. მათ **"არანაირი ინფორმაცია არ გააჩნიათ",** თანაც, **"სააგენტოს ინფორმაციაზე რა კომენტარი შეიძლება გაკეთდეს?"**

კულუარებში გავრცელებული ხმების თანახმად, მოსალოდნელია ეკონომიკისა და ენერგეტიკის სამინისტროების გაერთიანება. გაერთიანებული უწყების ხელმძღვანელად შესაძლოა ამჟამინდელი პირველი ვიცე-პრემიერი, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ტყეშელაშვილი ვიხილოთ. როგორც "24 საათს" რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა განუცხადა, მათ საკადრო ცვლილებების შესახებ ინფორმაცია არ გააჩნიათ.

არაოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ეკონომიკის მინისტრ ლაშა ჟვანიას დიპლომატიურ სამსახურში დაბრუნება იგეგმება. ეკონომიკის სამინისტროში ამ საკითხზე კომენტარი არ გააკეთეს.

სააგენტოს ინფორმაციით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პოსტზე, შესაძლოა, ამჟამინდელი მინისტრის მოადგილე ირაკლი გიორგობიანი ვიხილოთ. სამინისტროს პრესსამსახურში ამის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნიათ.

მოსალოდნელია თუ არა ფინანსთა სამინისტროში ახალი ხელმძღვანელის მოსვლა? - აქაც, ისევე როგორც სხვა უწყებებში, გვიპასუხეს, რომ მათ შესაბამისი ინფორმაცია არ მოეპოვებათ. კულუარებში გავრცელებული ხმების თანახმად, ახალ ფინანსთა მინისტრად შეიძლება ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური ვიხილოთ.

თავად პრემიერ-მინისტრის პოსტზე, როგორც სააგენტო "ინტერპრესნიუსი" იუწყება, იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილისა და დედაქალაქის მერის გიგი უგულავას კანდიდატურები განიხილება. როგორც მერიის პრესსამსახურში "24 საათს" განუცხადეს, დედაქალაქის მერი ამ თემაზე კომენტარს არ აკეთებს. მოსალოდნელ საკადრო ცვლილებაზე კომენტარს არც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში აკეთებენ. აქედან გამომდინარე, უპასუხოდ რჩება სააგენტოს ვარაუდი იმის შესახებ, რომ სამთავრობო ცვლილებების შედეგად მინისტრის პოსტს კობა სუბელიანი დატოვებს. **საკუთარი ინფორმაცია**

## ბაიდენის საქართველოში ვიზიტის დროს პოლიტპატიმრების ოჯახის წევრები და ახლობლები საპროტესტო აქციას გამართავენ

ამერიკის ვიცე-პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენის საქართველოში ვიზიტის დროს პოლიტპატიმრების ოჯახის წევრები და ახლობლები საპროტესტო აქციას გამართავენ.

როგორც აქციის ორგანიზატორებმა განაცხადეს, საპროტესტო მიტინგის ჩატარება მიზნად ისახავს ამერიკის ახალი ადმინისტრაციის ინფორმირებას საქართველოში თავისუფლებისა და დემოკრატიის თვალსაზრისით შექმნილი კატასტროფული მდგომარეობის შესახეებ. აქციის დრო, ადგილი და ფორმა ცნობილი გახდება პოლიტპატიმრების ოჯახების წევრების მიერ საგანგებოდ გამართულ დღევანდელ პრესკონფერენციაზე. **პირველი**

## ერევანში ერევანი-ბათუმის მატარებლის პრეზენტაცია გაიმართა

გუშინ ერევანში იმ საფირმო სამგზავრო მატარებლის პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც ერევანი-ბათუმის მარშრუტზე ივლის. სადღესასწაულო ცერემონიაში მონაწილეობა მიიღეს სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ტიგრან სარქისიანმა, ეროვნული კრების სპიკერმა ობიკ აბრამიანმა და ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მინისტრმა გურგენ სარქისიანმა. 12 ვაგონისგან შემდგარი მატარებელი 350 მგზავრს დაიტევს და ერევან-ბათუმის გზის გავლას 18 საათს მოანდომებს. ერევანი-ბათუმის მარშრუტის მატარებელი კომფორტული იქნება და კონდიციონერით აღიჭურვება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## გაერო-ს სადამკვირვებლო მისიამ საქართველოს ტერიტორია საბოლოოდ დატოვა

გაერო-ს სადამკვირვებლო მისიამ საქართველოს ტერიტორია საბოლოოდ გუშინ დატოვა. მისიის ბოლო ჯგუფი აფხაზეთიდან გუშინ გავიდა. გაერო-ს მისიის წარმომადგენელ აზატ ლაჩინიანის განცხადებით, მისიის საქართველოდან გასვლა შესაბამისი გრაფიკის ფარგლებში მოხდა და არანაირ "გარღვევას" ადგილი არ ჰქონია.

ცნობისათვის - გაერო-ს მისიის გაგრძელებას ვეტო რუსეთმა დაადო. მისიამ კონფლიქტის ზონიდან გასვლა 30 ივნისს დაიწყო. **ჯი-ეიჩ-ენი**

# იზოლატორიდან დემონსტრაციაზე

დათო გამისონია

არასაპარლამენტო ოპოზიციის რამდენიმე ლიდერი გუშინ პოლიციის მთავარ სამმართველოსთან შეიკრიბა. გოგა ხაინდრავას, მანანა ნაჭყებიასა და ზურაბ აბაშიძესთან ერთად, ახალგაზრდული ორგანიზაციების დაკავებულ აქტივისტებს დაჩი ცაგურიას, მიხეილ მესხს, მერაბ ჭიქაშვილს, გიორგი ჩითირიშვილს და გიორგი საბანაძეს ოჯახის წევრები და მეგობრები დახვდნენ.

გათავისუფლებული დაჩი ცაგურია პროტესტის გამოხატვის გაგრძელებას აპირებს. **"მიუხედავად იმისა, რომ გამომიშვეს და თავისუფალი ვარ, ჩვენ ისევ გავაგრძელებთ ბრძოლას პოლიტპატიმრების და სრულიად საქართველოს გასათავისუფლებლად,"** - განაცხადა ცაგურიამ. მანვე დასძინა, რომ პატიმრობის პერიოდში ის ხელისუფლების წარმომადგენელთაგან მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ეკა ხერხეულძემ მოინახულა. გუშინ, პოლიციის მთავარ სამმართველოსთან, აქტივისტებს სოლიდარობა "კონსერვატიული პარტიის" წევრმა ლაშა ჩხარტიშვილმაც გამოუცხადა. მისი აზრით, **"არსებული რეჟიმის შეცვლის შემდეგ, ხელისუფლების მიერ 2007 წლიდან დღემდე ჩადენილი ყველა სისხლის სამართლის დანაშაული იქნება გამოძიებული."**

"ალიანსი საქართველოსთვის" ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ აბაშიძემ გაიხსენა მისთვის ერთი თვის წინათ პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მიყენებული ფიზიკური ტრამვა. **"მე დღეს პროტესტის ნიშნად მივედი სამმართველოსთან და ვთქვი, რომ უსამართლობას არ შევურიგდებით,"** - განაცხადა აბაშიძემ

მოგვიანებით გათავისუფლებული აქტივისტები რუსთაველის გამზირზე მიმდინარე საინფორმაციო მიტინგს შეუერთდნენ.

### კომენტარები ფაქტის გარეშე

გუშინდელ საინფორმაციო მიტინგზე "საქართველოს გზის" ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა ქართულ ტელევიზიებში მომხდარი ცვლილებების შესახებ ისაუბრა. ოპოზიციონერებისთვის მიუღებელია საქართველოს ნაციონალურ არხებზე მიმდინარე საკადრო გადაადგილებები. მაშინ, როცა საპროტესტო აქციების ორგანიზატორებმა "საზოგადოებრივი მაუწყებლის" საინფორმაციო პოლიტიკის წინააღმდეგ არაერთი მანიფესტაცია და "სირცხვილის კორიდორი" გამართეს, გუშინ "1 არხის" გენერალური დირექტორის თანამდებობიდან გადადგომა, რის შესახებაც დაუზუსტებელი ინფორმაცია გავრცელდა, ოპოზიციის წევრებმა ხელისუფლების მიერ სატელევიზიო სივრცეზე კონტროლის გამკაცრებით ახსნეს. **"ყველა სახელისუფლებო არხზე ცვლილების განხორციელება მიუთითებს, რომ ხელისუფლება არხებზე მეტ ზემოქმედებას მოახდენს,"** - აღნიშნა "ახალი მემარჯვენეების" წევრმა მანანა ნაჭყებიამ. ოპოზიციის წარმომადგენლებმა ასევე ყურადღება გაამახვილეს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-სა და ტელეკომპანია "იმედში" მიმდინარე საკადრო ცვლილებებზე. "რუსთავი 2"-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ნინო შუბლაძის შეცვლა ირმა ნადირაშვილით, ხოლო "ჯორჯიან მედია ჰოლდინგის" (მასში გაერთიანებულია ტელეკომანია "იმედი") ხელმძღვანელის ვაკანტურ თანამდებობაზე გიორგი არველაძის (მას შემდეგ, რაც ამ თანამდებობიდან გიორგი ისაკაძე გაათავისუფლეს) შესაძლო დანიშვნა "რესპუბლიკური პარტიის" წევრმა თინა ხიდაშელმა მოახლოებულ არჩევნებს დაუკავშირა. **"ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში მალე არჩევნები ჩატარდება და ხელისუფლება თავის დაზღვევას ცდილობს. არველაძე ისეთი კადრია, რომლისგანაც ხელისუფლებისთვის სიურპრიზები მოსალოდნელი არ არის. ყუბანეიშვილი ბევრი მთავრობის მსახური იყო და, როგორც ჩანს, მას ბოლომდე არ ენდობიან. რაც შეეხება ნინო შუბლაძეს, ის სააკაშვილისთვის უფრო ახალი კადრია, ვიდრე ძველი და გამოცდილი ირმა ნადირაშვილი,"** - განაცხადა თინა ხიდაშელმა.

# უბედური შემთხვევა ირანში

პირველი გვერდიდან

დაღუპულთა ოჯახებს ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადმა მიუსამძიმრა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო "კასპიან ეარლაინსის" კუთვნილი თვითმფრინავის ჩამოვარდნის გამო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს. **"აღნიშნულ ავიაკატასტროფას ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს საქმეთა დროებითი რწმუნებულის მეუღლე და სომხეთში საქართველოს საელჩოს ფინანსური მენეჯერი ემსხვერპლნენ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო სამძიმარს უცხადებს სომხეთის და ირანის მთავრობებსა და ინციდენტის დროს დაღუპულთა ოჯახებს,"** - ნათქვამია საგარეო სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ირანში მომხდარი უბედური შემთხვევა რუსული წარმოების "ტუ-154"-სთვის პირველი არ არის. 2006 წლის სექტემბერში, ირანის ქალაქ მუშხედში "ტუ-154"-ს დაშვებისას ცეცხლი გაუჩნდა და 30 მგზავრი დაიღუპა. კიდევ ერთი კატასტროფა ირანში 2002 წელს მოხდა, ავარიის დროს ბორტზე მყოფი 117 ადამიანი დაიღუპა. 2006 წლის აგვისტოში "ტუ-154"-მა, რომელიც სანკტ-პეტერბურგის მიმართულებით ახორციელებდა რეისს, დონეცკის თავზე განიცადა კატასტროფა და ბორტზე მყოფი 179 ადამიანი გარდაიცვალა. 2001 წლის ივნისში, ირკუტსკში მომხდარ ავიაკატასტროფას 145 მგზავრის სიცოცხლე შეეწირა.

"ტუ-154"-ს რუსეთი 1972 წლიდან აწარმოებს, ამ ხნის განმავლობაში 63-მა თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა.

# ინგუშეთში ადამიანის უფლებათა ცნობილი დამცველი მოკლეს

*გუშინ საღამოს, ინგუშეთში, ნაზრანის რაიონში, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაცია "მემორიალის" წევრ ნატალია ესტემიროვას ცხედარი იპოვეს. ინგუშეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო მომხდართან დაკავშირებით მხოლოდ ერთ ინფორმაციას ავრცელებს, რომლის თანახმადაც, ნატალია ესტემიროვა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით გულმკერდისა და თავის არეში მიყენებული ჭრილობებით გარდაიცვალა.*



*ნატალია ესტემიროვა*

როგორც გაირკვა, ნატალია ესტემიროვა გუშინ დილით უცნობმა პირებმა გაიტაცეს. გარდაცვლილის კოლეგების განმარტებით, არიან მოწმეები, რომლებმაც გროზნოს ცენტრში დაინახეს, როგორ ჩასვეს უცნობებმა იგი მანქანაში იძულებით და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. რაც მთავარია, ინციდენტის თვითმხილველებმა ავტომანქანის სერია და ნომერი დაზუსტებით დაასახელეს. ინციდენტის შემსწრეების განცხადებებით, ნატალია ესტემიროვამ მხოლოდ ორი სიტყვის დაყვირება მოასწრო - "მიშველეთ, მიტაცებენ!"

როგორც გაირკვა, ნატალია ესტემიროვას გუშინ დილით უამრავი საქმიანი შეხვედრა ჰქონდა დაგეგმილი. ის ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად სტავროპოლის მხარეშიც უნდა გამგზავრებულიყო. გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე ის მობილურ ტელეფონზე კოლეგებს არ პასუხობდა.

ნატალია ესტემიროვა სარატოვის მხარეში დაიბადა. მან გროზნოს უნივერსიტეტის ისტორიული ფააკულტეტი დაამთავრა. რამდენიმე წლის განმავლობაში, გროზნოში, ერთ-ერთ სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა, შემდეგ კი ჟურნალისტიკას მიჰყო ხელი და ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყებამდე, გროზნოს ერთ-ერთ ტელევიზიაში მუშაობდა. ტელევიზიაში მუშაობის დროს მან ადამიანის უფლებების დარღვევებზე, მკვლელობებსა და გატაცებებზე უამრავი გადაცემა გააკეთა. ბოლოს, ადამიანის უფლებათა დამცველი ნატალია ესტემიროვა ადამიანების გაუჩინარების საქმეებზე გამოძიებას აწარმოებდა. 2007 წელს, ის მოკლული ჟურნალისტის ანა პოლიტკოვსკაიას სახელობის პრემიის პირველი ლაურეატი გახდა. ნატალია ესტემიროვა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციის "მემორიალის" წამყვანი თანამშრომელი იყო. ჩეჩნეთის ხელისუფლებას მისი საქმიანობის მიმართ პრეტენზია არაერთხელ გამოუთქვამს. ბოლო პერიოდში, ნატალია ესტემიროვა ჩეჩენი გოგონას მკვლელობის ფაქტს იძიებდა. მოკვლეული მასალები მან სპეციალურად ჩატარებულ პრეს-კონფერენციაზეც გაახმაურა და კადიროვის ხელისუფლებას ბრალდებები წაუყენა.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# მოსკოვი სირაქლემას პოზაში

პირველი გვერდიდან

მისი თქმით, საქართველოს საკითხზე რუსეთსა და აშშ-ს შორის უთანხმოება არსებობს და **"თავად ამ ვიზიტის ფაქტი მკაფიოდ აღნიშნავს რეგიონის მიმართ ჩვენს პოზიციებში არსებულ სხვაობებს."**

როგორც იან კელიმ აღნიშნა, პრეზიდენტმა ობამამ ამას წინათ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უჭერს მხარს. გარდა ამისა, "დიდი შვიდეულის" ქვეყნები, ევროკავშირი და ნატო არ ცნობენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. იან კელიმ იმაზეც გაამახვილა ყურადღება, რომ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა, რუსეთის გარდა, მხოლოდ ნიკარაგუამ ცნო.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადებით, შეერთებული შტატები კვლავაც მოუწოდებს რუსეთს, პატივი სცეს საქართველოს დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას, ხელი შეუწყოს სტაბილურობას რეგიონში, მონაწილეობა მიიღოს ჟენევის დისკუსიებში და შეასრულოს 12 აგვისტოს შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები.

**"ჩვენ ყველა ქვეყანას მოვუწოდებთ, მხარი დაუჭირონ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას,"** - განაცხადა იან კელიმ.

მედვედევის საქციელზე მწვავე რეაქცია ევროკავშირმაც გამოხატა. მედვედევის ცხინვალში ვიზიტი ხელს არ უწყობს კავკასიაში კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებას. ამის შესახებ გუშინ ევროკომისიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა კრისტიანე ჰომანმა განაცხადა.

**"ევროკავშირი სრულად უჭერს მხარს საქართველოს დამოუკიდებლობას და მის ტერიტორიულ მთლიანობას, რომელიც საერთაშორისო ნორმებით არის აღიარებული,"** - განაცხადა ჰომანმა.

მისი თქმით, **"ცხინვალის სეპარატისტულ მთავრობასთან პრეზიდენტ მედვედევის სტუმრობა კიდევ უფრო აღრმავებს თბილისსა და მოსკოვს შორის უთანხმოებას და ხელს არ უწყობს საქართველოში კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებას."**

მედვედევის ცხინვალში მოგზაურობამ კიდევ უფრო განამტკიცა აშშ-ს პოზიცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, - ასეთი აზრი პრეზიდენტ პუტინის ყოფილმა მრჩეველმა, აშშ-ში მოქმედი კატონის ინსტიტუტის ექსპერტმა ანდრეი ილარიონოვმა გამოთქვა.

**"ბოლო მოვლენებმა აშშ-ს პოზიცია უფრო მკვეთრი და პრინციპული გახადა. ვფიქრობ, ობამას ადმინისტრაციამ ჯერ კიდევ ვერ გააცნობიერა, თუ ვისთან აქვს საქმე ოფიციალური მოსკოვის სახით,"** - განაცხადა ილარიონოვმა.

მან ასევე ისაუბრა რუსეთის მხრიდან აგრესიის საშიშროებაზე და ისიც აღნიშნა, რომ საქართველოს ორმაგი საფრთხე ემუქრება.

**"პირველი საფრთხე შესაძლო პირდაპირი აგრესიაა, მეორე ტაქტიკა კი საქართველოს გარშემო დაძაბულობის შენარჩუნებას გულისხმობს. ეს შესაძლებელია სხვადასხვა განცხადებების, ქმედებების ან სამხედრო მანევრების საშუალებით. უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსეთს სურს, საქართველოში ინვესტიციების შემოსვლა შეაჩეროს და მუდამ სტრესის ქვეშ ამყოფოს ის ხალხი, ვინც ქვეყანას გვერდში უდგას,"** - აღნიშნა ექსპერტმა.

მოსკოვი ყურადღებას არ აქცევს მსოფლიოს აღშფოთებას. რუსულ მედიას მოჰყავს კრემლის ინკოგნიტო წარმომადგენლის კომენტარი, რომელმაც აღნიშნა, რომ **"აშშ-რუსეთის ურთიერთობების "გადატვირთვაზე" გავლენას ახდენს არა განცხადებები, არამედ პრაქტიკული ქმედებები."**

თავის მხრივ, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ კონსტანტინ კოსაჩევმა აღნიშნა, რომ საქართველოს საკითხზე უთანხმოება აშშ-სა და რუსეთის ურთიერთობას ვერ გააუარესებს.

**"აშშ და რუსეთი მართლაც ვერ თანხმდებიან საქართველოს საკითხზე. მაგრამ ახლა ვაშინგტონისა და მოსკოვის ურთიერთობები სხვა ასპექტში გადავიდა, ამიტომ სააკაშვილმა რაც არ უნდა ილაპარაკოს, იგი მოსკოვსა და ვაშინგტონს ერთმანეთს ვერ გადაჰკიდებს,"** - განაცხადა კოსაჩევმა.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი თბილისს 23 ივლისს ეწვევა. აშშ-დან საგანგებოდ ჩამოსული დელეგაცია თბილისში ვიზიტის გრაფიკზე მუშაობს. მომავალი შეხვედრების თემების შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით არ ვრცელდება, თუმცა თავად ვიზიტი საქართველოს მიმართ აშშ-ს მხარდაჭერის კიდევ ერთი დასტური გახდება.

# ცხელი საპარლამენტო ზაფხული

პირველი გვერდიდან

მასში ასევე დაგმობილია მიმდინარე წლის ზაფხულში (2008 წლის აგრესიის წინა პერიოდის მსგავსად) საქართველოს საზღვრების უშუალო სიახლოვეს აგრესიული, ფართომასშტაბიანი სამხედრო სწავლების ჩატარება, რაც ქართველი კანონმდებლების შეფასებით, "პირდაპირ საფრთხეს უქმნის საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას."

პარლამენტის განცხადების ტექსტს დეპუტატები რიგგარეშე სესიის დღევანდელ სხდომაზე უყრიან კენჭს.

საკანონმდებლო ორგანოს გუშინდელ სხდომაზე კი დეპუტატები არა მარტო რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიულ პოლიტიკას აკრიტიკებდნენ, არამედ ამ პოლიტიკას შედეგად დაზარალებული ადამიანისთვის დახმარების გაწევის აუცილებლობაზეც საუბრობდნენ.

"ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურია პარლამენტის თავმჯდომარეს შეახსენებს, რომ მისი (დავით ბაქრაძის) ინიციატივით, ჯანდაცვის კომიტეტში უნდა მომზადებულიყო კანონპროექტი, რომლითაც აგვისტოს ომში დაღუპულთა და დაზარალებულთა ოჯახებისთვის სოციალური შეღავათები დაწესდებოდა.

პარლამენტის სპიკერს თავისი "სიტყვა უკან არ მიაქვს". მისი განცხადებით, აღნიშნული კანონპროექტი თითქმის მზად არის და მთავრობასა და საპარლამენტო კომიტეტს შორის მხოლოდ ფინანსური დეტალებიღა დარჩა შესათანხმებელი.

თავის მხრივ, ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ თოიძე განმარტავს, რომ კანონპროექტი არა მხოლოდ გასული წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა ოჯახებს, არამედ ყველა იმ მეომრის ოჯახს შეეხება, რომლებიც ბოლო წლების სხვადასხვა კონფლიქტების დროს დაიღუპნენ.

**"საომარი მოქმედების დროს დაღუპულ მებრძოლთა ოჯახები სოციალურ გარანტიებს უახლოეს მომავალში მიიღებენ,"** - პირობას იძლევიან დავით ბაქრაძე და ოთარ თოიძე.

აღსანიშნავია, რომ რუსეთთან ომში დაღუპულთა ხსოვნას დეპუტატები "პერსონალურადაც" მიაგებენ პატივს. ისინი ივლისის თვის ხელფასიდან თანხებს ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესიის მშენებლობისთვის გადარიცხავენ. ამ ეკლესიას აგვისტოს ომში დარუპულ ჯარისკაც ვახტანგ გზირიშვილის დედა აშენებს.

**"პარლამენტარების მხრიდან თანხების გაღება ორმაგი კეთილშობილება იქნება - ერთი მხრივ, ეკლესიის მშენებლობისთვის, რაც დიდი მადლია და მეორე მხრივ, გმირთა სულების მოსახსენიებლად, რომლებმაც სიცოცხლე ქვეყანას შესწირეს,"** - მიიჩნევს პარლამენტის თავმჯდომარე...

თუ რუსეთის აგრესიული პოლიტიკის შეფასებებში საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლები თითქმის ერთსულოვნები არიან, შიდაპოლიტიკური საკითხებისადმი მათი დამოკიდებულება მკვეთრად განსხვავდება.

ასე მაგალითად, სახელისუფლებო ფრაქციის მიერ ინიცირებულ კანონპროექტთა პაკეტს, რომელიც "შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ" და "პოლიციის შესახებ" კანონებში ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს, "ქრისტიან-დემოკრატები" მკაცრად აკრიტიკებენ და მისი ამოქმედების გადავადებას იმ დრომდე ითხოვენ, ვიდრე აღნიშნული კანონპროექტის შესახებ თავის დასკვნას ვენეციის კომისია არ გამოაქვეყნებს.

ოპოზიციონერი დეპუტატების პროტესტის მიუხედავად, სახელისუფლებო გუნდი კანონპროექტის პაკეტის არსებით გადახედვას არ აპირებს. "ქრისტიან-დემოკრატები" საპარლამენტო უმრავლესობის საკანონმდებლო ინიციატივას ანტიკონსტიტუციურად მიიჩნევენ და აპირებენ, პარლამენტის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართონ.

# პრეზიდენტმა ნაქერალაზე მომხდარ ავარიაში დაშავებული მოზარდები მოინახულა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქუთაისის სამედიცინო ცენტრში 9 მოზარდი ინახულა, რომლებიც ორი დღის წინ ნაქერალას უღელტეხილზე მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად დაშავდნენ.

პრეზიდენტი ახალგაზრდებს კარგად სწავლის შემთხვევაში დასაქმებას დაჰპირდა, ერთ-ერთ მოზარდს შოთა ჭოლოკავას კი ბინა აჩუქა. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, მას ერთი კვირის წინ ჭოლოკავამ წერილით მიმართა და დახმარება სთხოვა. შოთა ჭოლოკავა პრეზიდენტისადმი გაგზავნილ წერილში ამბობს, რომ უსახლკაროა და მე-9 საავადმყოფოს ერთ-ერთ ოთახში მარტო ცხოვრობს. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, მოზარდს სახელმწიფოსგან ბინა გადაეცემა. ჭოლოკავა ასევე სახელმწიფოს დახმარებით დაეუფლება პროფესიას, რის შემდეგაც მას დასაქმებაშიც შეუწყობენ ხელს. დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი კი შოთა ჭოლოკავას საჩუქრად გადასცემს კომპიუტერს, რომელზეც, წერილის თანახმად, მოზარდი დიდი ხანია ოცნებობს. პრეზიდენტის თქმით, შოთა ჭოლოკავა სკოლაში კარგად სწავლობს და სწორედ ამიტომ მიეცა "პატრიოტთა ბანაკში" არდადეგების გატარების საშუალება.

*ინტერპრესნიუსი*

## თბილისს ამერიკელი დიპლომატები სტუმრობენ

თბილისში სტუმრად მყოფმა ამერიკელმა დიპლომატებმა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრები გუშინ დაიწყეს. ისინი აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენის თბილისში დაგეგმილი ვიზიტის დეტალებს შეათანხმებენ. ბაიდენი საქართველოში ვიზიტს მომავალ კვირას გეგმავს. ოფიციალური ინფორმაციით, ბაიდენი საქართველოში 2 დღეს დარჩება. ვიზიტის ფარგლებში შეერთებული-შტატების ვიცე-პრეზიდენტი, ოფიციალური შეხვედრების გარდა, თბილისის ღირსშესანიშნაობებსაც დაათვალიერებს. ბაიდენი თბილისს 24 ივლისს დატოვებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ღუდუშაურის კლინიკაში მკურნალობას მხოლოდ ერთი დაშავებული პატრიოტი აგრძელებს

ნაქელარას უღელტეხილზე მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად დაშავებული ახალგაზრდებიდან ამ დროისთვის ღუდუშაურის კლინიკაში მხოლოდ ერთი მოზარდი აგრძელებს მკურნალობას. იგი ტრავმატოლოგიურ განყოფილებაშია მოთავსებული, თუმცა მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ღუდუშაურის საავადმყოფოში ავარიის შედეგად დაშავებული 8 ბავშვი მოათავსეს. უმეტეს მათგანს ზოგადი დაჟეჟილობები ჰქონდა, და ისინი გამოკვლევების შემდეგ გაწერეს. მოზარდები თბილისში ქუთაისიდან სასწრაფო დახმარების მანქანებით გადმოიყვანეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## თორნიკე კილანავა 2007 წელს დაკარგული დავით სიგუას შესახებ ინფორმაციას არ ფლობს

აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის წარმომადგენელი თორნიკე კილანავა 2007 წელს დაკარგული დავით სიგუას შესახებ ინფორმაციას არ ფლობს. "ჩვენც ის ინფორმაცია გვაქვს, რაც ყველამ იცის. გალის რაიონის აფხაზური დე ფაქტო საარჩევნო კომისიის ყოფილი ხელმძღვანელი დავით სიგუა 2007 წელს დაიკარგა და დღემდე მისი ადგილსამყოფელი უცნობია," - განაცხადა კილანავამ. მისივე თქმით, "სიგუას ჯერჯერობით, უგზო-უკვლოდ დაკარგულის სტატუსი არ აქვს, რადგან, როგორც წეს, ეს სტატუსი დაკარგვიდან სამი წლის შემდეგ ეძლევათ". დავით სიგუას ახლობლები ქართული მხარისა და გაერო-სგან რაიმე სახის ინფორმაციის მიღებას ითხოვენ. სიგუას მეუღლე და და 5 საათის განმავლობაში გაერო-ს მისიის გალის ოფისთან იმყოფებოდნენ, სადაც ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების ფარგლებში შეხვედრა იმართებოდა. შეხვედრის დასრულების შემდეგ საქართველოში გაერო-ს გენმდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა იოჰან ვერბეკემ სიგუას ახლობლები მიიღო და დახმარებას დაჰპირდა. გალის აფხაზური დე ფაქტო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი 2007 წლის 3 თებერვალს დაიკარგა. სოხუმმა მის გატაცებაში ქართული მხარე დაადანაშაულა. **პირველი**

## სოსო ცინცაძის შეფასებით, ოპოზიციამ რუსთაველიდან საკნების აღების შესახებ სწორი გადაწყვეტილება მიიღო

პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის შეფასებით, რუსთაველის გამზირიდან საკნების აღების შესახებ ოპოზიციამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო. "საკნების აღება სწორია, მაგრამ მათი დადგმა შეცდომა იყო, რადგან ამას ოპოზიციისთვის არანაირი ეფექტი არ მოჰყოლია. მართალია, ოპოზიციამ საკნების აღება დააგვიანა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ისინი "სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს" პრინციპით მოქმედებენ, მაინც მისასალმებელია," - განაცხადა ცინცაძემ. მისივე თქმით, საკნები, როგორც პოლიტიკური ბრძოლის იარაღი, არც ერთი ქვეყნის ისტორიაში არ მოიპოვება. "საკნები არ იყო პოლიტიკური ბრძოლის იარაღი. თუ ლაპარაკია რევოლუციასა და ძალადობაზე, კი ბატონო, მაშინ გასაგებია ამ იარაღის გამოყენება. რუსთაველის გამზირზე საკნების დადგმაც ძალადობა იყო, ოღონ რიგითი მოქალაქეების წინააღმდეგ, რომლებსაც რუსთაველზე მანქანით გავლა-გამოვლა უნდოდათ და ამას ვერ ახერხებდნენ. ოპოზიციამ დისკომფორტი არა ხელისუფლებას, არამედ მოსახლეობას შეუქმნა," - განმარტა პოლიტოლოგმა.

ცნობისათვის - ოპოზიციამ რუსთაველის გამზირიდან საკნების აღების გადაწყვეტილება მიიღო. როგორც ე.წ. რადიკალები აცხადებენ, საკნებმა თავისი ფუნქცია უკვე ამოწურა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ესპანეთის სამეფოს დეპუტატთა დელეგაცია ეწვია

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსული ესპანეთის სამეფოს დეპუტატთა დელეგაცია ოფიციალურ პირებთან გამართავს შეხვედრებს. ესპანელ სტუმრებს გუშინ აჭარა მასპინძლობდა. ისინი ბათუმში ჩაფრინდნენ, სადაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და თავად აჭარის მთავრობის მეთაურ ლევან ვარშალომიძეს შეხვდნენ. დღეიდან შეხვედრები თბილისში გაგრძელდება. ესპანელ კანონმდებლებს თავდაპირველად პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე მიიღებს. დაგეგმილია შეხვედრები ჯანდაცვის მინისტრ ალექსანდრე კვიტაშვილთან და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერიასთან. ესპანელ დეპუტატთა დელეგაციას დღის მეორე ნახევარში პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ეკატერინე შარაშიძე შეხვდება, რის შემდეგაც დელეგაცია თბილისს დატოვებს. **პირველი**

# აფრიკელი ლიდერი ჰააგის ტრიბუნალის წინაშე წარდგა

ლიბერიის ექს-პრეზიდენტმა ჩარლზ ტეილორმა ჰააგის სამხედრო სასამართლოსთვის ჩვენების მიცემა დაიწყო. ჰააგის ტრიბუნალის წინაშე ის სიერა-ლეონეში სამხედრო დანაშაულის ჩადენის 11 ბრალდებით წარდგა.

ჩარლზ ტეილორი პირველი აფრიკელი ლიდერია, რომელსაც საერთაშორისო ტრიბუნალი გაასამართლებს.

ლიბერიის ყოფილ ლიდერს ტერორიზმში, მკვლელობებში, გაუპატიურებასა და წამებაში ედება ბრალი. თუმცა თავად ტეილორი ყველა ბრალდებას უარყოფს და მათ "ბოროტ ტყუილს" უწოდებს.

დაცვის ხაზი, სავარაუდოდ, იმის მტკიცებას დაეყრდნობა, რომ ტეილორი თავის ქვეყანას მართავდა და სიერა-ლეონელი აჯანყებულების ხელმძღვანელობას ვერ შეძლებდა.

როდესაც ადვოკატმა ტეილორს მკვლელობებისა და ძალადობის შესახებ დაუსვა კითხვა, ყოფილმა პრეზიდენტმა უპასუხა, რომ მისი "ასეთ დანაშაულთან დაკავშირება სრულიად წარმოუდგენელია."

ვარაუდობენ, რომ ტეილორი სასამართლოსთვის ჩვენების მიცემას რამდენიმე დღეს მოანდომებს.

სასამართლოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი კლერ კარლტონ-ჰენსილზი აცხადებს, რომ დაცვის მხარე თავის კლიენტს ჩვენების მისაცემად თვენახევარი ამზადებდა.

დაცვის მოსმენა სასამართლომ ორშაბათს დაიწყო. ადვოკატი კორტნი გრიფიტსი აცხადებს, რომ ჩარლზ ტეილორი სიერა-ლეონეში მშვიდობის დამყარებაში შუამავლის როლს ასრულებდა.

**"ჩვენ არ უარვყოფთ, რომ სიერა-ლეონეში საშინელებები ხდებოდა,** - აღნიშნა მან, - **თუმცა ლაპარაკი უნდა იყოს არა იმაზე, რა ხდებოდა სიერა-ლეონეში, არამედ იმაზე, თუ ვინ არის ამ მოვლენებზე მთავარი პასუხისმგებელი. ამავდროულად, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ჩარლზ ტეილორი მშვიდობის დამყარებას ცდილობდა."**

ადვოკატის განცხადებით, პროკურორი თავის ბრალდებებში გავრცელებულ უსაფუძვლო ხმებს ეყრდნობა და ექს-პრეზიდენტს ყველაფრის გარკვევა თავადვე სურს.

ჩარლ ტეილორი სასამართლოს შენობაში მიმდინარე მოსმენებს რამდენიმე თვის განმავლობაში ესწრებოდა. დროდადრო ის თავის ადვოკატებს წერილებს გადასცემდა და მათ ჩურჩულით ელაპარაკებოდა.



*ლიბერიის ექს-პრეზიდენტი ჩარლზ ტეილორი ჰააგის სამხედრო სასამართლოს დარბაზში.*

მაისში სასამართლომ არ დააკმაყოფილა ადვოკატების თხოვნა მტკიცებულებათა არარსებობს გამო ტეილორის გათავისუფლების შესახებ.

ბრალდების მხარე ამტკიცებს, რომ სწორედ ჩარლზ ტეილორი გეგმავდა იმ მხეცურ ქმედებებს, რომლებსაც შემდგომ გაერთიანებული რევოლუციური ფრონტის აჯანყებულები სიერა-ლეონეში სამოქალაქო ომის დროს 2002 წლამდე სჩადიოდნენ.

აჯანყებულები ხშირად იყენებდნენ ცივი იარაღის ერთ ერთ სახეობას - მაჩეტეს, რომლითაც მშვიდობიან მოსახლეობას კიდურებს აჭრიდნენ. ბრალდების მხარის 91 მოწმიდან რამდენიმე ამტკიცებს, რომ ხელები სწორედ ამ გზით დაკარგეს.

ჩარლზ ტეილორს აჯანყებულებისთვის სეირა-ლეონეს ალმასების სანაცვლოდ იარაღის მიწოდებაც ედება ბრალად.

თუმცა მისი დამცველები უარყოფენ, რომ აჯანყებულებს ყოფილი პრეზიდენტი აძლევდა ბრძანებებს, ალმასების სანაცვლოდ იარაღით ამარაგებდა და ბავშვებს ჯარისკაცობისთვის ამზადებდა.

ჩარლზ ტეილორი ლიბერიის პრეზიდენტის პოსტზე 1997 წელს, სამოქალაქო ომის შემდეგ აირჩიეს. 2003 წლიდან - გადადგომის შემდეგ, ის დევნილობაში იმყოფებოდა და გარკვეული პერიოდი ნიგერიაში ცხოვრობდა, 2006 წელს კი ნიგერიამ მისი ლიბერიაში ექსტრადიცია განახორციელდა.

ჩარლზ ტეილორის პროცესი, რომელსაც სიერა-ლეონეს საქმეზე მომუშავე ტრიბუნალი წარმართავს, ქვეყნის დედაქალაქ ფრითაუნიდან ჰოლანდიაში იმის გამო გადაიტანეს, რომ სასამართლო პროცესს სიერა-ლეონესა და მეზობელ ლიბერიას შორის ვითარების დესტაბილიზაცია არ გამოეწვია.

*სამართალი*

# მიმართვა და წერილები გიორგი არსენიშვილს

*სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი არსენიშვილს მიმართა და უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის გრძელვადიანი პაემნის დაშვება მოითხოვა. საქმე ისაა, რომ პატიმრობის კოდექსის პროექტში არ არის გათვალისწინებული გრძელვადიანი პაემნით სარგებლობის უფლება უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის, რაც, ომბუდსმენის აზრით, ხელს უშლის მათ სრულფასოვან ურთიერთობას ოჯახის წევრებთან და გარე სამყაროსთან.*

როგორც სახალხო დამცველი განმარტავს, საერთაშორისო ნორმების მიხედვით, პატიმრების გარე კონტაქტები უნდა განიხილებოდეს, როგორც მათი უფლება და არა როგორც პრივილეგია. სოზარ სუბარი მიიჩნევს, რომ პატიმრების გარე სამყაროსთან ურთიერთობის შეზღუდვა, როგორც დისციპლინური სანქცია, დაუშვებელია.

"პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონის 77-ე მუხლის II ნაწილით და 48-ე მუხლის II ნაწილით, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს უფლება აქვს, ჰქონდეს თვეში ერთი პაემანი. პაემნის უფლება ეძლევათ მსჯავრდებულის ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებს. პაემნის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ საათს. ამასთან, რუსთავის N6 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, სადაც უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები იხდიან სასჯელს, პაემნის 10 ოთახი ფუნქციონირებს და შეხვედრები მინით გადატიხრულ ოთახში ხდება.

სახალხო დამცველმა უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების განცხადებები პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი არსენიშვილს გაუგზავნა და კიდევ ერთხელ მიმართა თხოვნით, განიხილოს მსჯავრდებულებისთვის გრძელვადიანი პაემნის დაშვების საკითხი.

სახალხო დამცველის აპარატში განმარტავენ, რომ პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 37-ე წესი განსაზღვრავს პატიმრის კავშირს გარე სამყაროსთან, სადაც აღნიშნულია, რომ "აუცილებელი ზედამხედველობის პირობებში, პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება, რომ მიმოწერისა და ვიზიტების მეშვეობით რეგულარული ურთიერთობა იქონიონ ოჯახებთან და შეუბღალავი რეპუტაციის მქონე მეგობრებთან".

ევროპული ციხის წესების 24.1 წესის თანახმად, პატიმრებს ნებართვა უნდა მიეცეთ, რაც შეიძლება ხშირად იქონიონ ურთიერთობა წერილით, ტელეფონით თუ კომუნიკაციის სხვა საშუალებით, თავიანთ ოჯახებთან, სხვა პირებთან და გარე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. გაერო-ს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 79-ე წესის თანახმად, "განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირების შენარჩუნებას და განმტკიცებას, რაც სასურველადაა მიჩნეული და ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს".

*საკუთარი ინფორმაცია*






## პაციენტების საყურადღებოდ !

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი გთავაზობთ **ულტრასონოგრაფიის** (ექოსკოპიის) მიმართულებით ბოლო თაობის, 2008 წლის აპარატურას და უახლეს **ექოსკოპიურ** ტექნოლოგიებს, რომელთა გამოყენებით ტარდება **ექოსკოპიური** გამოკვლევები კლინიკური მედიცინის ყველა მიმართულებით.

პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩაწერით.

მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თენგიზ აბულაძის 20, (ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.:** 91 31 19; 91 32 42;

## დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი ირაკლი ძიძიგური

**გთავაზობთ:**

**ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.:** 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;

## ა ხ ა ლ ი ფ ა ს ე ბ ი !

## ბაზალეთის სასტუმროთა ჯგუფი
## ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსი

Bazaleti HOTELS GROUP

**დაისვენეთ, გაერთეთ, შეიგრძენით ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსი!**







ტელ: +995 32 75 53 66 +995 32 75 53 67, E-mail info@bazaletilake.ge reservation@bazaletilake.ge, www. Bazaletilake.ge

# ბრუნო მოდის - კაცები გადამალეთ!

## კინოთეატრი "ამირანი" სამი ახალი პრემიერისთვის ემზადება

ია ვეკუა

თბილისში ისე ცხელა, ალბათ ყველა აქაურის ფიქრები ზღვის სანაპიროებსა და მთების სიგრილისკენაა გადასროლილი, თუმცა დედაქალაქში მაინც რჩება "კუნძულები" რომლებსაც ვერც ერთ კურორტზე ვერ შეხვდებით. ეს არის კინოთეატები, უფრო სწორად ერთი კინოთეატრი "ამირანი", რომელიც ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს მუშაობას და ახალი ფილმების აფიშასაც ადგენს. უახლოეს მომავალში "ამირანს" რამდენიმე პრემიერა აქვს დაგეგმილი. მათ შორის იქნება როგორც საბავშვო, ისე ინტელექტუალურიც და სკანდალურიც.

ხვალიდან "ამირანის" ეკრანზე Blue Sky Studios ბოლო ნამუშევარი "გამყინვარების პერიოდი 3: დინოზავრების ერა" გამოდის. ვისაც ამ ფილმის პირველი ორი ნაწილი აქვს ნანახი, დაგვეთანხმება, რომ ფილმი მეტად სასაცილო და გასართობი ხასიათისაა. იგი არ არის განკუთვნილი მხოლოდ პატარებისთვის და ე.წ. საოჯახო ფილმთა კატეგორიას განეკუთვნება. ფილმის მთავარი გმირები მამონტების წყვილი მანფრედი და ელი არიან. ისინი პატარას გაჩენას ელოდებიან და სიუჟეტის დიდი ნაწილი სწორედ ამ მოვლენის გარშემო იკვრება. ტრილოგიის დასკვნით ფილმში წინა პლანზე გამოდის აქამდე მესამეხარისხოვანი პერსონაჟი სკრეტი - პატარა მღრღნელი, რომელიც გამუდმებით ცდილობს მაგარმერქნიანი ნაყოფის გატეხვას, რასაც როგორც წესი ყოველთვის ახლავს ძალიან სასაცილო სცენები.

თავიანთ სანახაობას მიიღებენ პედრო ალმადოვარის კინოს თაყვანისმცემლები. მისი ბოლო ფილმი Los abrazos rotos, რომლის თარგმნაც ქართულად დაახლოებით შეიძლება როგორც "გაცვეთილი ჩახუტება", ივლისის მიწურულს გამოვა. ფილმი ალმადოვარისა და მისი ერთ-ერთი მუზის, პენელოპა კრუსის მორიგი ერთობლივი ნამუშევარია. ფილმს დრამისა და ტრილერის კვალიფიკაცია აქვს მინიჭებული. მისი ცენტრალური ფიგურა ოდესღაც ცნობილი კინორეჟისორი, რამდენიმე წლის წინ დაქვრივებული და მხედველობა დაკარგული მატეო ბლანკოა. მან ავტოკატასტროფაში საყვარელი მეუღლე ელენა დაკარგა, რასაც მისი ცხოვრების ძირეულად შეცვლა მოჰყვა - სახელი შეიცვალა და ახალ საქმიანობასაც მიჰყო ხელი. დროთა განმავლობაში კი გამუდმებით სტუმრობს გარდაცვლილი მეუღლის სახება...



მესამე ფილმი, რომელსაც ზემოთ სკანდალური ვუწოდეთ რაღა თქმა უნდა "ბრუნოა", ფილმი, რომელიც "ამირანში" შემდეგი სლოგანით გამოვა: "კაცები გადამალეთ!" დიდი სკანდალისტისა და ავანტიურისტის, საშა ბარონ კოენის მორიგი ფილმის სახელწოდება სრულად ასე ჟღერს - "ბრუნო: საოცარი მოგზაურობა ამერიკაში იმ მიზნით, რომ ადგილობრივმა ჰომოსექსუალმა მამრებმა ბადე მაისურში გამოწყობილი უცხოელი ჰომოსექსუალის კომპანიაში დიმსკომფორტი იგრძნონ". ნურა უნდა ელაპარაკო ახლა ამ კაცს - გიჟია რა!..

გიჟია, მაგრამ ამავდროულად საშინლად ნიჭიერიც. ბრიტანელი საშა ბარონ კოენის სატელევიზიო შოუ Da Ali G Show-ს სამი პერსონაჟი: თავად ალი ჯი, შარშანწინდელი საოცრება ბორატი და ავსტრიელი ჰომოსექსუალი ჟურნალისტი ბრუნო მთელ მსოფლიოში ლამის დედოფალ ელისაბედზე პოპულარულები არიან. ალი ჯისა და ბორატის შესახებ ფილმები ასევე უკვე გამოსულია, ამ უკანასკნელის სკანდალური წარმატების შესახებ კი ყველას მოგეხსენებათ, ახლა კი ბრუნოს დრო დადგა.

როდესაც მაიკლ ჯექსონის გარდაცვალების შესახებ გახდა ცნობილი, ნახევარი მსოფლიო მას დასტიროდა, მეორე ნახევარი კი იმ სცენებს, სადაც ბრუნო პოპის მეფეს აშარჟებდა, რადგან ფილმის შემქნელებს კატეგორიულად მოსთხოვეს ამ სცენების ამოჭრა. მართალია, ამით ფილმმა საკმაოდ სასაცილო სცენები დაკარგა, მაინც არ შეშლია ხელი, რომ გაქირავების პირველივე კვირას რეიტინგების სათავეში მოქცეულიყო.

ბრუნო ჰომოსექსუალია, თანაც ძალიან ჰომოსექსუალი. იგი ერთ-ერთი ავსტრიული ტელევიზიისთვის მოდის ჩვენებებიდან აკეთებს სიუჟეტებს. ერთ-ერთ დეფილეზე ატეხილი სკანდალის გამო სამსახურიდან ათავისუფლებენ, ამიტომ ამერიკაში სუპერვარსკვლავის სტატუსის მოსაპოვებლად და ზემოთ აღნიშნულ ფილმის სრულ სათაურში ხსენებული მისიის შესასრულებლად მიემგზავრება.

ფილმის ჩვენება ერთ ქვეყანაში უკვე აკრძალეს. გაგიკვირდებათ და ეს ქვეყანა უკრაინაა, რომლის კულტურის მინისტრმაც შემდეგი განცხადება გააკეთა: "ფილმში მრავლადაა მამაკაცის სასქესო ორგანოებისა და ჰომოსექსუალური სცენების მხატვრულად გაუმართლებელი ჩვენება. გარდა ამისა, მის ცალკეულ სცენებში გვხვდება სადიზმის, ანტისოციალური ქმედებებისა და არანორმატული ლექსიკის დემონსტრირების ფაქტები, რაც უარყოფითად აისახება ჩვენს მოსახლეობაზე".

პარალელურად კი "ბრუნო" ამერიკის ბოქს ოფისების უპირობო ლიდერია. გაქირავების პირველივე კვირას 30 მილიონი დოლარის მოგროვება შეძლო და აგერ, საქართველოშიც კი გამოდის...

# იბერიელი წინაპრების სახლში

ნინო კალანდია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ უნიკალური აღმოჩენა გააკეთა. IV საუკუნით დათარიღებული ოქროს დისკო განვითარებული სოციალური სტრუქტურის უტყუარი დასტურია და პირველი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდს ემთხვევა. ექსპედიციის ხელმძღვანელის პროფესორ ვახტანგ ლიჩელის მიერ საუკუნეების წინანდელი ისტორიის გაცოცხლებას საზოგადოებამ თვალი 10 ივლისს შეავლო. დედაქალაქიდან გასულ დამთვალიერებელთა ექსპედიციას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი შეუერთდა, ვახტანგ ლიჩელი კი სამი ათასი წლის წინანდელი ისტორიის მთხრობელი გახდა. უნივერსიტეტის ექსპედიცია გრაკლიანის გორაზე არქეოლოგიურ გათხრებს უკვე რამდენიმე თვეა აწარმოებს. თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზატკეცილზე ავტომაგისტრალის გაყვანის სამუშაოების პარარლელურად არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელიც უნივერსიტეტის სტუდენტებით არის დაკომპლექტებული, კულტურული ძეგლის შესწავლა დაიწყო. პირველივე მონაპოვარმა ცხადყო, რომ არქეოლოგებს საქმე ისტორიული მნიშვნელობის უნიკალურ ძეგლთან ჰქონდათ. ყოველდღიურად არქეოლოგების ხელში 2400 წლის წინანდელი სასმისები, საუკუნეებს გადარჩენილი თიხის ჭურჭელი, სხვადასხვა სახის სამკაული, ძვლოვანი ნაშთი და თავისი მნიშვნელობითა და დანიშნულებით უიშვიათესი ნივთები ხვდებოდა. არქეოლოგების გაოცებას მწყობრი სამაროვანი განლაგება და მყარი სოციალური სტრუქტურის მანიშნებელი დეტალები იწვევდა. მანამ, ვიდრე მიწის ფენა უნიკალურ ოქროს დისკოს გადაეცალა. საუკუნეებით შენახული ისტორია იმ ინფორმაციას მოგვაწვდის, რომელიც თანამედროვე ადამიანის წარმოდგენას გაამდიდრებს და არსებული წყობის შესახებ სრულ სურათს შეუქმნის.



**"ამოღებული ძვლის ნაშთით დასტურდება ორი ადგილობრივი - ქართველური და წინააზიური რასის წარმომადგენლების არსებობა.**

**ამ პერიოდში განვითარებულ მევენახეობას ადასტურებს აღმოჩენილი ვაზის სასხლავი დანა, რომელიც არაერთ სამაროვანში ვიპოვეთ.**

**ჩვენ ახლა წარსულში ვბრუნდებით და იბერიელების ხელით ნაკეთ ნივთებს ვეხებით; ჩვენ მათ სახლს ვსტუმრობდით და ხელუხლებელ სამაროვანში შენახული ისტორია ვიხილეთ",** - მოგვითხრო ექსპედიციის ხელმძღვანელმა და დღემდე აღმოჩენილი ნივთები საზოგადოების წინაშე მათი ისტორიით გააცოცხლა.

არქეოლოგიური გათხრები იგოეთში, გრაკლიანის გორაზე გზის მშენებლობასთან ერთად დაიწყო. როცა მაგისტრალი ამ ტერიტორიაზე გაივლის სამაროვანი მიწის ქვეშ მოექცევა, თუმცა არქიტექტურულ და კულტურულ ნაშთს მანამდე ამოიღებენ, დარჩენილი ტერიტორიის არქეოლოგიურ შესწავლას კი სავარაუდოდ ისევ განაგრძობენ.

მანამდე კი უკვე ნაპოვნ 35 ათასამდე ექსპონატს და 200-მდე ნასახლარს შეისწავლიან, მოპოვებული ინფორმაციით ახლის აღმოჩენას და დაუსრულებელი ისტორიის გავრცობას შეეცდებიან.

უახლოეს პერიოდში აღმოჩენილი უნიკალური ოქროს დისკო თავის თავზე უამრავ ისტორიას ყვება, მათ შორის კი ყველაზე მნიშვნელოვანს - ადასტურებს.

მცენარეული ორნამენტებით შემკული დისკო წარჩინებული პიროვნების ჩინის აღმნიშვნელი ატრიბუტი უნდა ყოფილიყო.

**"დისკოზე აღმოჩენილი ქსოვილის ნარჩენები მეტყველებს იმაზე, რომ მსგავსი ისიგნია მაგრდებოდა ტანსაცმელზე და მაღალი რანგის მოხელის ატრიბუტად მოიაზრებოდა. იქვე აღმოჩენილი ბრინჯაოს დისკო, რანგით უფრო დაბალი მოხელის უნდა ყოფილიყო, თუმცა მსგავსი ტიტულის დამადასტურებელი ნივთის ტარების უფლება ყველას არ ჰქონდა",** - აღნიშნა ვახტან ლიჩელმა.

ამასთან ერთად ბრინჯაოს დისკოს დამზადება და ოქროს გადაკვრის ტექნოლოგია, მისი მცენარეული ორნამენტებით მოხატვა და ნახატის თანაბარი წყობა, მეტყველებს იმაზე, რომ ეს ტექნოლოგია უკვე მაღალგანვითარებულ დონეზე იყო. დისკოს არსებობა ადასტურებს რომ სახელმწიფოს მოწყობისთვის აუცილებელი ყველა პირობა ამ დროისათვის უკვე არსებობდა; მაღალგანვითარებული სოციალური სტრუქტურა პირველი ქართული მონარქიის ჩამოყალიბებისთვის ემზადებოდა. მსგავსი განაცხადი აქამდე აღმოჩენილ ნივთებს შორის არცერთს არ გაუკეთებია. დისკოს უნიკალურობაც სწორედ ამაში მდგომარეობს.

უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ არქეოლოგიური სამუშოების დათვალიერების შემდეგ მსგავსი ექსპედიციების ჩატარების მნიშვნელობაზე ისაუბრა - **"პირველ რიგში ეს სტუდენტების პროფესიონალური ზრდის ძალიან კარგი საშუალებაა. ისინი საერთაშორისო სტანდარტების არამარტო თეორიულ, არამედ პრაქტიკული უნარ-ჩვებებსაც შეიძენენ. ჩემთვის როგორც იურისტისთვის მნიშვნელოვანია იმაზე დაკვირვება თუ როგორ მდიდრდება ინფორმაციით იბერიის სახემწიფოს ფორმირების წინაპერიოდი. დასტურდება საზოგადოების მაღალი განვითარების დონე. ჩვენი სახელმწიფო სწორედ ამიტომ არის ძლიერი, რადგანაც იკვებება იმ დიდი ტრადიციებით, რომლის თვითმხილველნიც დღეს გავხდით".**

ექსპედიციის მონაპოვარს მალე მუზეუმში გადაანაწილებენ, ყველაზე მნიშვნელოვანს კი გამოსაკვლევად საზღვარგარეთ წაიღებენ. უნიკალური დისკო ქიმიურ დამუშავებას არ ექვემდებარება, ამიტომაც მისი გამოკვლევა და გაწმენდა ცნობილი მუზეუმის სამეცნიერო ცენტრში მოხდება. ამის შემდგომ ინფორმაცია უფრო სრული იქნება. შეცვლის თუ არა ისტორიას უნიკალური აღმოჩენა არავინ იცის, თუმცა წარსულზე ინფორმაციის დახვეწას და სრული სურათის შექმნას ისტორიული ისიგნია ნამდვილად შეძლებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კი, ექსპედიციებს განაგრძობს...

# ზაზა, გთხოვთ, დარჩი!

კალათბურთის გულშემატკივარმა იცის, რომ ზაზა ფაჩულიამ სულ ახლახან გააფორმა ახალი ოთხწლიანი კონტრაქტი "ატლანტა ჰოუქსთან" და მომავალშიც ჯორჯიულ გუნდში გააგრძელებს თამაშს. ახლა ქართველი ცენტრი უკვე თავისუფალია და სულ მალე საქართველოს ნაკრებთან ერთად დაიწყებს მზადებას ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის. ამჯერად ზაზას სანაკრებო კარიერაზე არ გესაუბრებით. ისევ "ქორებზე" შევჩერდეთ და გავიგოთ, რა დამოკიდებულება აქვთ "ჰოუქსის" ფანებს ქართველი ცენტრის მიმართ. ალბათ სწორედ ეს დამოკიდებულებაა იმის მიზეზი, რომ ზაზა სხვა გუნდში გადასვლაზე არც დაფიქრებულია და "ჰოუქსის" შეთავაზება უყოყმანოდ მიიღო.

გუშინ ინტერნეტში საინტერესო ინფორმაცია გაჩნდა. ერთ-ერთ ამერიკულ ელექტრონულ გამოცემაში, კერძოდ, ATLANTA METBLOGS GEORGIA-ში (atlanta.metblogs.com) იყო "ჰოუქსის" ფანის მცირე სტატია "ზაზას წერილის შესახებ".

თურმე ამ ფანს რამდენიმე დღის წინ ზაზასთვის ღია წერილი გაუგზავნია, რომლის გაცნობის შემდეგ ზოგადი წარმოდგენა მაინც შეგექმნებათ, თუ რა დამოკიდებულებაა ატლანტაში ქართველი ცენტრის მიმართ. ჯერ თავად ღია წერილს გაგაცნობთ, შემდეგ კი - ამ წერილზე გამოხმაურებას.

"ძვირფასო ზაზა.

გთხოვ, დარჩი.

აქ, ატლანტაში, შენ ყველას უყვარხარ. ბოლო ორი წლის განმავლობაში თვალნათლივ დავინახე, რომ მოედანზე გასული ძალ-ღონეს არ იშურებ და მთელი შემართებით იბრძვი. ვხედავ, როგორ ეხმარები ჰარფორდს, როცა მას უჭირს, ვნახე, როგორ დაუპირისპირდი კევინ გარნეტს - ტოპვარსკვლავს არაფერი დაუთმე. და კიდევ ბევრად უკეთესი რამ მაქვს




*ატლანტელი ფანების ფავორიტი ზაზა ფაჩულია*

ნანახი შენი შესრულებით.

მართალია, ხანდახან დარბაზი ნახევარად ცარიელიც იყო. მახსოვს, ერთ-ერთ თამაშზე "მინესოტას" წინააღმდეგ დარბაზში იმდენი ადამიანი იყო, რამდენიც ალბათ ჰოკეის დაბალი ლიგის თამაშებზეც არ არის. მაგრამ ახლა, როგორც იქნა, ავაშენეთ გამარჯვებების მომტანი გუნდი.

ჩვენ გვიყვარხარ. შენ აქ ხარ ZAAAAAAZAAAAAAAA PACHUUUUUUUUUULLIA. როდესაც მოედანზე შედიხარ, ფანები ფეხზე დგებიან და შენს სახელს გაჰყვირიან. დიახ, შენ შეგიძლია გადახვიდე სხვა ქალაქში, მაგრამ მაშინ ერთი ჩვეულებრივი აღმოსავლეთევროპელი დიდი ბიჭი იქნები ჩვენთვის უცნაური ჟღერადობის სახელით.

ვიცი, რომ "ჰოუკსისგან" შეთავაზება მიიღე. ეს სეკიუ სმიტმა ("ატლანტა ჟორნალ კონსტიტუშენის" საკალათბურთო მიმომხილველი) მითხრა. იმედი მაქვს, ამ შეთავაზებაზე იფიქრებ. ატლანტა დიდი საკალათბურთო ქალაქია და შენი გამონათქვამებიდანაც ვიცი, რომ ეს ქალაქი გიყვარს. ჩვენ გვიყვარხარ და ასე სხვაგან არავინ შეგიყვარებს.

მე მოგიტან შენ ნაყინს, მე ვთხოვ ქალაქის მერიას, რომ ზაზა ფაჩულიას დღე დააწესონ, მე დავჯდები ქალაქში ყველაზე დიდი ბილბორდის ქვეშ შენი მაისურით.

ამიტომ გთხოვ, დარჩი. მითხარი, რა უნდა გავაკეთოთ "ჰოუქსის" ფანებმა, რათა შენ გუნდში დარჩე. ჩვენ შენ გვჭირდები.

გთხოვ.

შენი

ჯეიმსი".

მოახდინა თუ არა ამ წერილმა ზაზას გადაწყვეტილებაზე გავლენა, ძნელი სათქმელია. ამ ღია წერილის შემდეგ ჯეიმსმა იმავე საიტზე კიდევ ერთი მცირე სტატია გამოაქვეყნა. თუმცა, ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ზაზამ ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი. საუბარია ზემოთ ნახსენებ სტატიაზე "ზაზას წერილის შესახებ".

მოვიტანთ რამდენიმე ამონარიდს მეორე წერილიდან.

"რამდენიმე დღის წინ ზაზას ფაჩულიას ღია წერილი მივწერე, რათა კიდევ ერთი მიზეზი მიმეცა მისთვის, რომ კლუბთან ახალი კონტრაქტი გაეფორმებინა. კვირას კი ვხსნი ფოსტას და პირადად ზაზას პასუხს ვკითხულობ. კინაღამ გადავირიე.

"გამარჯობა. წავიკითხე შენი წერილი. მინდა გითხრა, რომ საუკეთესო ხარ. დიდი სიამოვნებით მოგიწვევ ჩვენს ერთ-ერთ თამაშზე. მინდა, რომ ჩემი სტუმარი იყო".

აი, ასეთი პასუხი მივიღე.

იცით, რა არის ამაში მნიშვნელოვანი? ამით ზაზა გვიჩვენებს, რომ არა მხოლოდ კარგი კალათბურთელი, არამედ კარგი ადამიანია. ის კითხულობს ფანების წერილებს და პასუხისმგებლობით ეკიდება ამას. სწორედ ამიტომ არის ზაზა ამ ქალაქში ფანების ფავორიტი.

გმადლობთ, ზაზა".

## რაგბის "ლოკომოტივის" ბაზაზე სარაგბო აკადემია გაიხსნება

დიღმის მასივში მდებარე რაგბის "ლოკომოტივის" ბაზაზე სარაგბო აკადემია გაიხსნება. ამის შესახებ ჟურნალისტებს რაგბის ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი ნიჟარაძემ განუცხადა. "დიღმის "ლოკომოტივის" ბაზაზე, რომელიც ყოველთვის მორაგბეების იყო და ახლა გვიბრუნდება, სარაგბო აკადემიას გავაკეთებთ და იქ მომავალი რაგბისტები გაიზრდებიან", - განუცხადა ნიჟარაძემ ჟურნალისტებს. რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი "მნიშვნელოვანს" უწოდებს დედაქალაქის მერიის ინიციატივას, რომელიც თბილისში რაგბის ქალაქის აშენებას ითვალისწინებს და აცხადებს, რომ იმ ტერიტორიის მეშვეობით, რომლის გადაცემასაც ფედერაციისთვის თბილისის მერია გეგმავს, მათ დამატებითი კაპიტალი გაუჩნდება. "როცა გლდანში დიდი ტერიტორია რაგბის ფედერაციის საკუთრებაში გადავა, ჩვენ საკუთარი კაპიტალი გაგვიჩნდება, რადგან შეგვეძლება მიწა სარფიანად გავყიდოთ და აღებული თანხა სტადიონების მოწყობაზე დავხარჯოთ", - განაცხადა ნიჟარაძემ. თბილისში რაგბის ქალაქის მშენებლობა დედაქალაქის მერიის პრიორიტეტულ გეგმაში შედის. თბილისის ადგილობრივი ხელისუფლება რაგბის ფედერაციისთვის რიგი ტერიტორიის გადაცემას გეგმავს.

## ტოლდო დაშავდა

აშშ-ში მიმდინარე მილანის "ინტერის" სეზონისწინა საწვრთნელ შეკრებაზე, თანაგუნდელთან შეტაკებისას, დაშავდა გუნდის სათადარიგო მეკარე ფრანჩესკო ტოლდო. ის მაშინვე ჰოსპიტალში გადაიყვანეს. პირველადი შემოწმების შემდეგ ფეხბურთელს 48 საათის განმავლობაში ვარჯიში აეკრძალა.

## რაულს ვარსკვლავების მოძალება არ აშინებს

კაკას, კრიშტიანუ რონალდუსა და კარიმ ბენზემას შეძენის შემდეგ მადრიდის "რეალის" შეტევაში იმდენად დიდი კონკურენცია იქნება, რომ შესაძლოა "სამეფო კლუბის" ცოცხალი ლეგენდა და სიმბოლო რაული სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდეს. თავად რაულს კონკურენცია არ აშინებს. "ძალიან მინდა, რაც შეიძლება, ბევრ მატჩში მომეცეს თამაშის საშუალება. უკვე 15 წელია "რეალში" ვარ და მთელი ამ ხნის განმავლობაში კონკურენციის მოსაგებად მიწევს ბრძოლა. ასე რომ, ეს ამბავი ჩემთვის ახალი არ არის. მეტიც, ძალიან მიხარია, გუნდმა ამდენი ვარსკვლავი რომ შეიძინა. ახლა წარმატების მოპოვების შანსი გაცილებით მეტი გვექნება. კრიშტიანუ რონალდუს გვერდით თამაშზე ნებისმიერი ფეხბურთელი ოცნებობს. ის უმაღლესი დონის მოთამაშე და არაჩვეულებრივი ადამიანია. საოცრად შრომისმოყვარეა და უნდა, რომ "რეალში" უმოკლეს დროში მოასწროს ადაპტაცია", - თქვა "რეალის" კაპიტანმა.


## განცხადება ხელახალი ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" საქართველოს პრეზიდენტის ნაციონალური მეგაპროგრამა იაკობ გოგებაშვილი-საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია" დაფინანსების ფარგლებში აცხადებს ხელახალ ტენდერს საჯარო სკოლების შენობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვა განხორციელდება შემდეგი ლოტების შესაბამისად:**

**ლოტი N1** თბილისის N25 საჯარო სკოლის შენობის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები;

**ლოტი N2** თბილისის N106 საჯარო სკოლის დამხმარე შენობის დემონტაჟის სამუშაოები;

**ლოტი N3** თბილისის N202 საჯარო სკოლის შენობის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები;

**ლოტი N4** თბილისის N4 საჯარო სკოლის შენობის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები;

**ლოტი N5** თბილისის N146 საჯარო სკოლის სპორტდარბაზის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები;

**ლოტი N6** თბილისის N178 საჯარო სკოლის შენობის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები;

**ლოტი N7** ტყიბულის N5 საჯარო სკოლის II კორპუსის ნაწილის დემონტაჟის და სკოლის შენობის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 90 დღე;

**3.** მიწოდების ადგილია შესაბამისი საჯარო სკოლები;

**4.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ექვს ეგზემპლარად, (ერთი დედანი, ხუთი ქსეროასლი) დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 05 აგვისტოს** 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველო, დ. უზნაძის ქ. N68, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მესამე სართული, ოთახი N12.

**5.** წარმოდგენილი პაკეტები გაიხსნება **2009 წლის 05 აგვისტოს** 15 საათზე მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველო, დ. უზნაძის ქ. N68, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მესამე სართული, ოთახი N14.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**6.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ;

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

დ) ორგანიზაციის მოგების და ქონების გადასახადების დეკლარაციები ბოლო ორი (2007-2008) წლების;

ე) ცნობა, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან)

**6.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა მისი ქმედუნარიანობის შესახებ (ცნობა შებამისი უფლებამოსილი დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან).

**6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (ფიზიკური პირის შემთხვევაში: მისი საიდენტიფიკაციო მონაცემები პირადობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის მიხედვით, საკონტაქტო ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები. იურიდიული პირის შემთხვევაში: მისი სრული სახელწოდება, გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, იურიდიული მისამართი, შესაბამისი უფლებამოსილი პირის -სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირის მონაცემები პირადობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის მიხედვით, საკონტაქტო ტელეფონი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა რომელშიც ასახული უნდა იყოს:

ბ.ა. სამშენებლო და სხვა მასალების ხარჯები რაოდენობრივ და თანხობრივ გამოსახულებაში;

ბ.ბ. შრომის ანაზღაურების და ტრანსპორტირების ხარჯები;

ბ.გ. სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ბ.დ. დარიცხვები, პროცენტული მაჩვენებლების მითითებით (ზედნადები ხარჯები, მოგების პროცენტი და დღგ);

გ) ინფორმაცია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების ვადების შესახებ (გეგმა-გრაფიკი);

დ) ინფორმაცია ანგარიშსწორების ფორმებისა და პირობების შესახებ;

ე) ინფორმაცია ანალოგიური სამშენებლო-სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების გამოცდილების შესახებ.

**შენიშვნა:** ტენდერში მონაწილე პრეტენდენტ პირს, ბოლო ორი წლის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს სამშენებლო-სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოები საერთო ღირებულებით არანაკლებ 200 000 (ორასი ათასი) ლარის ოდენობით. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი დოკუმენტის, ხელშეკრულების და მიღება-ჩაბარების აქტების დართვით, ამასთანავე პრეტენდენტმა უნდა დაურთოს თითოეულ შესრულებულ სამუშაოზე დამკვეთის მიერ გაცემული წერილობითი დადასტურება, რომ შემსრულებელმა ჯეროვნად და ხარისხიანად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი სამშენებლო სამუშაოები.

ვ) ცნობა ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ;

თ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;

ი) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

**7.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელია განცხადების გამოქვეყნების დღიდან **2009 წლის 04 აგვისტოს** 18 საათამდე. სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილეობის მსურველმა 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელი უნდა გადაიხადოს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ვადის გასვლამდე შემდეგ ანგარიშზე: ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; ბანკის კოდი: 220101222, ანგარიშსწორების ანგარიში: 200122900, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი: N302007700, გადახდის დანიშნულება - სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" სატენდერო მოსაკრებელი, დამატებითი ინფორმაცია: სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტენდერი (ორგანიზაციული კოდი 0304). დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ სატენდერო დოკუმენტაციის გატანა მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველო, დ. უზნაძის ქ. N68, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მესამე სართული, ოთახი N12.

**8.** ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში;

**9.** პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

**10.** ტენდერში ლოტების მიხედვით შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

**11.** ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია 1%-ის ოდენობით. გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

**12.** ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

**13.** ტენდერში არ გამოიყენება პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების წარმოდგენისა და კონვერტების გახსნის ალტერნატიული წესი.

**14.** დაგვიანებით შემოსულ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებსა და სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს.

**15.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებით და საბაზისო მონაცემთა ნუსხით მოთხოვნილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება;

**16.** საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა აუცილებელია ტენდერში მონაწილე კომპანიების სუბკონტრაქტორებზეც;

17. სატენდერო წინადადებები შეფასდება განსხვავებული მეთოდის გამოყენებით.

**18.** პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

**19.** სატენდერო წინადადების მოქმედების მინიმალური ვადა არ უნდა იყოს სატენდერო წინადადებების პაკეტების გახსნის დღიდან 30 დღეზე ნაკლები. აღნიშნული ასახული უნდა იყოს სატენდერო წინადადებაში.

**20.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: **ქ. თბილისი, საქართველო, დ. უზნაძის ქ. N68, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მესამე სართული, ოთახი N12. ტელ:**

სატენდერო კომისიის აპარატი საკონტაქტო პირი მურთაზ სიჭინავა, ტელ: 91 05 52 (108)

## "მილანმა" ვერც ფაბიანო იყიდა

კარგა ხანია "მილანი" მაღალი დონის მეგოლის შეძენას ცდილობს. რამდენიმე წელია "როსონერის" ადებაიორზე აქვს დადგმული თვალი, მაგრამ ტოგოელმა "მანჩესტერ სიტიში" არჩია გადასვლა. არც ისე დიდი ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ "მილანი" "სევილიას" და ბრაზილიის ნაკრების ფორვარდს ლუიშ ფაბიანუს იყიდდა, მაგრამ ტრანსფერი, რომელიც თითქმის გაჩარხული იყო, ჩაიშალა.

"ფაბიანოს შეძენის თაობაზე მოლაპარაკება დამთავრებულია. სევილიელებმა ჩვენს მიერ შეთავაზებულ თანხად ბრაზილიელი ფორვარდის გაყიდვა არ ისურვეს, ჩვენ კი მეტის გადახდა არ შეგვეძლო. დავუბრუნდებით თუ არა მომავალში ფაბიანოს თემას, ამაზე ზუსტი პასუხი ადრიანო გალიანის ექნება. ვფიქრობ, მოლაპარაკების გაგრძელება არ ღირს", - განაცხადა "მილანის" ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჟურნალისტებთან საუბარში.

ფაბიანომდე "მილანის" ხელმძღვანელები "ვოლფსბურგიდან" ედინ ჯეკოს შეძენას ცდილობდნენ, მაგრამ ვერც ბოსნიელი თავდამსხმელის გადაბირება მოახერხეს. მესამე ვარიანტად კი "რეალის" ჰოლანდიელი შემტევი კლას-იან ჰუნტელაარი ჰყავთ შეგულებული.

## ვიეირას ლონდონში დაბრუნება სურს

ინგლისური "ტოტენჰემის" მთავარმა მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა კლუბის სასელექციო სამსახურს მილანის "ინტერის" ნახევარმცველთან პატრიკ ვიეირასთან მოლაპარაკების დაწყების უფლება მისცა.

"ვიეირას უნდა არა ფული, არამედ ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად თამაში. კარიერის ლონდონურ პერიოდთან - როდესაც "არსენალის" კაპიტანი იყო - შესანიშნავი მოგონებები აკავშირებს. შეთანხმება ჯერ არ შემდგარა, მაგრამ პატრიკს პრობლემების არ ეშინია. ის მზადაა დათმობებზე წავიდეს", - დასძინა ფეხბურთელის ერთ-ერთმა მეგობარმა.

## მონეგასკები მწყობრში ჩადგნენ

რამდენიმე დღის წინ "მონაკოს" ოთხ ფეხბურთელს მედიკოსებმა ღორის გრიპის დიაგნოზი დაუსვეს. გუშინ კი გავრცელდა ცნობა, რომ ოთხივე გამოჯანმრთელდა.

H1N1 ვირუსისგან განკურნებულმა მოთამაშეებმა უკვე განაახლეს ვარჯიში ვიშში, სადაც "მონაკო" საწვრთნელ შეკრებაზეა.

შემდგომი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ღორის გრიპმოხდილმა ფეხბურთელებმა პირველ დღეს თანაგუნდელებისგან განცალკევებით ივარჯიშეს, 14 ივლისს კი ჯგუფთან ერთად დაიწყეს ვარჯიში.

მიმდინარე კვირაში დაავადების სიმპტომები ხუთ ფეხბურთელს აღმოუჩინეს, ანალიზებმა კი ცხადყო, რომ ოთხი მათგანი ვირუსის მატარებელი იყო.

## "ბარსა" პოულსენს ყიდულობს

"ბარსელონა" სატრანსფერო ბაზარზე არ აქტიურობს. გვარდიოლას გუნდს დიდი განახლება არ სჭირდება, თუმცა მომავალი სეზონისთვის სიახლეები მაინც იქნება. ესპანური მედიის ცნობით, კატალონიური გრანდი მზადაა "იუვენტუსს" 13 მილიონი ევრო გადაუხადოს ნახევარმცველ კრისტიან პოულსენის სანაცვლოდ. პრიმერადივიზიონის გამარჯვებული დანიელ პოულსენს არგენტინელი ხავიერ მასკერანოს ალტერნატივად განიხილავს, რომელსაც ინგლისური "ლივერპული" არ შეელია. კრისტიანი ტურინელთა რიგებში გასულ სეზონში გადავიდა, თუმცა, "ბებერი ქალბატონის" ახალმა თავკაცმა ჩირო ფერარამ განაცხადა, რომ დანიელი ფეხბურთელი მის გეგმებში არ ჯდება.

## არაბებმა კიდევ ერთი ინგლისური კლუბი იყიდეს

მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი კლუბი, ინგლისური "ნოთს ქაუნთი" არაბულმა კომპანია Munto Finance-მა შეიძინა. სამშაბათს მხარეებს შორის ოფიციალურად გაფორმდა ხელშეკრულება. არაბებმა კლუბს უკვე წარუდგინეს ახალი ხელმძღვანელობა - პრეზიდენტის პოსტი პიტერ ტრემბლინგმა ჩაიბარა, აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობას კი პიტერ ვაილეტი შეასრულებს. "გუნდის გაძლიერებასა და მისთვის ძველი დიდების დაბრუნებას ვაპირებთ. ჩვენ განვითარების ხუთწლიანი გეგმა გვაქვს და თუ ყველაფერი ამის მიხედვით წარიმართა, სულ მალე ჩემპიონლიგაში გადავინაცვლებთ, მერე კი უფრო მაღალი მიზნებისთვისაც შევძლებთ ბრძოლას. კლუბის მშენებლობაში სერიოზული ინვესტიციის ჩადებას ვაპირებთ. ვფიქრობთ, "ნოთსს" ყველაფერი აქვს იმისთვის, რათა კონკურენტუნარიან გუნდად იქცეს და "მიდოუ ლეინზე" წარმატების დასაბრუნებლად თავს არ დავზოგავთ", - განაცხადა ახალმა პრეზიდენტმა.

21 წლის **გოგა ნარმანიას** ესაჭიროება გადაუდებელი ძვირად ღირებული ნეიროქირურგიული ოპერაცია. გთხოვთ მონაწილეობა მიიღოთ ახალგაზრდა ადამიანის გადარჩენაში და შეძლებისდაგვარად დაეხმაროთ .

**საბანკო კოდი (მფო):** 220101819

**ანგარიშწორების ანგარიში:** 2636512500051 (GeL)

მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონზე:

**893 72 56 60**

**წინასწარ ულრმეს მადლობას გიხდით, ღმერთმა დაგლოცოთ!**

# ბუნდოვანი პერსპექტივა

მიხეილ აბაიშვილი

გამოუცდელობა - უფრო ზუსტად, საერთაშორისო დონეზე თამაშებით დაგროვილი გამოცდილების სერიოზული დეფიციტი - ეს გახლავთ ქართული კლუბების "აქილევსის ქუსლი" და ამ თვალსაზრისით არც "ვიტ ჯორჯია" გამოდგა გამონაკლისი. სწორედ ეს გამოცდილების დეფიციტი გამოდგა ვეტერინართათვის მთავარი წინაღობა, რამაც ჩვენს გუნდს ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საშინაო შეხვედრაში სლოვენიის "მარიბორის" ძლევაში შეუშალა ხელი.

"ჩემი გუნდის თამაშით, ფეხბურთელების თავგანწირვით და ბრძოლისუნარიანობით აშკარად კმაყოფილი ვარ. ბიჭებმა ძალა არ დაიშურეს, ყველაფერი ჩადეს თამაშში და ის, რომ ვერ მოვიგეთ, იღბალთან ერთად მეტოქის მაღალი კლასის დამსახურებაცაა. ამავე დროს, მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი ფეხბურთელების მოქმედებებში გარკვეული შებორკილობა და მღელვარებაც იგრძნობოდა", - განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე "ვიტ ჯორჯიას" თავკაცმა, გასული სეზონის საქართველოს საუკეთესო მწვრთნელმა, რამაზ მუმლაძემ. სწორედ ხსენებული გამოუცდელობის ბრალი იყო ის შებორკილობა და მღელვარება, რომელიც საქართველოს ყველაზე სტაბილურ გუნდს, როგორც წესი, ადგილობრივ ტურნირებში არ ახასიათებს ხოლმე. შესაძლოა, ვინმე შემედავოს და ვეტერინართა ეს მღელვარება და ნერვიული დაძაბულობა "მარიბორის" მაღალ კლასს მიაწეროს. თუმც ჩემი აზრით, ასეთი არგუმენტი ამ შემთხვევაში არ გამოდგება, რადგან სლოვენიის ჩემპიონი გუშინ ნაჩვენები თამაშის ხარისხის მიხედვით, სპორტული კლასით, ვთქვათ, თბილისის "დინამოს" ან "ზესტაფონს" არაფრით აღემატებოდა. ასეთი დონის მეტოქეებთან კი "ვიტ ჯორჯია" საკმაოდ ხშირად ასპარეზობს და სიმშვიდეს არასდროს ჰკარგავს. შესაბამისად, ჩვენების გუშინდელ მღელვარებასაც ორი ტრივიალური მიზეზი ჰქონდა - ტურნირის სტატუსი (ჩემპიონთა ლიგა) და მეტოქის ეთნიკური წარმომავლობა (არაქართული, ევროპული წარმოშობა). ყველაზე მოულოდნელი მაინც ის იყო, რომ ამ თვალსაზრისით შეცდომებს უშვებდნენ ის ფეხბურთელები, რომლებსაც, წესით, ყველაზე ნაკლებად უნდა მოსვლოდათ. მაგალითისთვის ორი გვარის დასახელებაც საკმარისია. ლუკა რაზმაძე, რომელსაც არა მხოლოდ საკლუბო, არამედ სანაკრებო დონეზე თამაშის კარგი გამოცდილება აქვს დაგროვილი, საკუთარ თავს ნამდვილად არ ჰგავდა და ხშირად ცდებოდა. ირაკლი კლიმიაშვილი ვეტერინართაგან ყველაზე შესამჩნევი და აქტიური ფიგურა კი იყო, მაგრამ ბოლოში მასაც უმტყუნა ნერვებმა. იგი ერთ-ერთი მეტოქე ფეხბურთელის პროვოკაციაზე წამოეგო და ზურგში ჯაჯგურზე "ხურდა", სახეში იდაყვის მირტყმით დაუბრუნა, რასაც წითელი ბარათიც მოჰყვა. არადა, კლიმიაშვილსაც არაერთხელ მოურგია როგორც ახალგაზრდული, ისე ეროვნული ნაკრები გუნდის მაისური.



კვარაცხელიას აქტიურობამ შედეგი ვერ გამოიღო.

სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ მიხეილ მესხის არენაზე გუშინ, 15 ივლისს ჩატარებული მატჩი, რომლის პირველივე წუთებიდან ჩვენმა გუნდმა ხელთ იგდო ტერიტორიული უპირატესობა და მხოლოდ თავის თავს უნდა დააბრალოს, რომ შეხვედრა მეტოქისთვის სასურველი ნულოვანი ყაიმით დასრულდა. "ვიტელებმა" უკვე მეორე წუთზე სახიფათო იერიში მიიტანეს სლოვენიელთა კართან, თუმცა, ვეტერინართა მხრიდან ამ შეხვედრაში ერთ-ერთი საუკეთესოს, ლიპარტიას აქტიურობას შედეგი არ მოჰყოლია. მასპინძლებმა, ასე ვთქვათ, ფაციფუციანი ზეწოლა განაგრძეს და ერთი ხანობა საკუთარ საჯარიმოსაც კი მიაჯაჭვეს ყოფილი იუგოსლავები. პირველი საგოლე მომენტი მე-19 წუთზე შეიქმნა, როცა მიზანთან კვარაცხელია იყო ახლოს, მაგრამ მას არც თუ დაშვებული ხერხებით შეუშალეს ხელი. სამწუხაროდ, ესტონელმა არბიტრმა ამ ეპიზოდში სტუმრების მიმართ ლოიალობა გამოიჩინა და პენალტი არ დანიშნა. სამიოდ წუთში უკვე ვეტერინართა ახალწვეულმა, კახელიშვილმა დაარტყმა თავით სახიფათოდ, მაგრამ მეკარე რანიკოვიჩი ბურთს ადგილზე დაუხვდა. ამ შეტევის შემდგომ ჩვენებს პირველ ტაიმში "მარიბორის" კიპერი სერიოზულად აღარც შეუწუხებიათ. სტუმრებმა ტემპის დაგდება, თამაშის მეტ-ნაკლებად გათანაბრება და ტაიმის მათთვის სასურველი, საყაიმო შედეგით დასრულებამდე მიყვანა შეძლეს.

შეხვედრის მეორე ნახევარი სლოვენიელთა აშკარა საგოლე მომენტით დაიწყო: "ვიტ ჯორჯიას" მცველები ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნისას შეცდნენ და ჟულიჩი აბსოლუტურად მარტო დარჩა ბედიაშვილთან, რომელსაც პირველ ტაიმში პრაქტიკულად არ ჰქონია საქმე. გოლი გარდაუვალი იყო, მაგრამ "ვიტ ჯორჯიას" კიპერმა მართლაც სასწაული მოახდინა, ფეხებში ჩაუხტა მეტოქეს და იხსნა საკუთარი კარი.

შემდგომში ვითარება მსაჯის საკმაოდ მიკერძოებულმა და ცალმხრივმა გადაწყვეტილებებმაც დაძაბა, რომელიც ნებისმიერ საკამათო სიტუაციაში მხოლოდ სტუმრების სასარგებლოდ სტვენდა. მან პირველი ტაიმის მსგავსად, შეხვედრის მეორე ნახევარშიც არ დანიშნა პენალტი "მარიბორის" კარში. უფრო მეტიც - არბიტრმა ბედიაშვილს მეტოქის საჯარიმოში წაქცევა სიმულაციად ჩაუთვალა და ყვითელი ბარათი უჩვენა. ყველაფერი კლიმიაშვილის გაძევებით დაგვირგვინდა, რასაც ტრიბუნებიდან მსაჯის მისამართით ნასროლი ნივთების წვიმა მოჰყვა. ერთი ნივთი მას თავშიც კი მოხვდა, რის გამოც მატჩი რამდენიმე წუთით შეწყდა კიდეც. ძალზე სამწუხაროა, რომ ამ სტადიონზე ასეთი სამარცხვინო და ულირსი ფაქტი მესამედ ხდება. "ვიტ ჯორჯიამ" ეს ეტაპი რომც გადალახოს, შემდეგ ეტაპზე უეფა მას მკაცრ სანქციებს დაუწესებს და სავარაუდოდ, ცარიელი ტრიბუნების თანდასწრებით მოუწევს საშინაო შეხვედრის ჩატარება. აღარაფერს ვამბობ იმ ფინანსურ ჯარიმაზე, რომლის ოდენობას უეფას სადისციპლინო კომიტეტი უახლოეს სხდომაზე დაადგენს.

საბოლოოდ, სტუმრებმა დასახულ მიზანს მიაღწიეს - შეხვედრა უგოლოდ დასრულდა და საპასუხო მატჩის წინ უკეთესი შანსებით გაემგზავრნენ კიდეც სამშობლოში. თუმცა, უიმედოდ არ "ვიტ ჯორჯიაა".

"რა თქმა უნდა, მოგება გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუმცა, ის ფაქტი, რომ საკუთარ კედლებში გოლი არ გავუშვით, შემდეგ ეტაპზე გასვლის არც თუ ურიგო შანსს გვიტოვებს", - განაცხადა რამაზ მუმლაძემ.

რამდენად შეძლებს საქართველოს ჩემპიონი ამ შანსის გამოყენებას, ერთ კვირაში, 22 ივლისს, მარიბორში გამოჩნდება.

**"ვიტ ჯორჯია" 0:0 "მარიბორი"**

# პირველი ორმაგი წარუმატებლობა ნაგოიაში

ქალაქ ნაგოიაში მიმდინარე სუპერტურნირზე გუშინდელი დღე ქართველთათვის უიღბლო გამოდგა. კოკაი ხვდებოდა დასავლეთის მერვე მაიგაშირა კაკიზოეს, რომელთანაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში გამართული ორი ბრძოლიდან ორივე წაგებული ჰქონდა. ლევან ცაგურიამ ვერც ახლა გატეხა ნავსი და იორიტაოშის ილეთით დათმო ბრძოლა. ბაშოს მეხუთე დღის წინ კოკაის სამი მოგება და ერთი მარცხი აქვს. ტურნირის პირველ დღეებში მან კარგი პლაცდარმი შეიქმნა იმისთვის, რომ ბაშო დადებითი ბალანსით დაასრულოს და რეიტინგში დაწინაურდეს. დამარცხდა ტოჩინოშინიც. ახალგაზრდა ქართველ სუმოისტს გუშინ გამოცდილი ესტონელი გოლიათი ბარუტო ხვდებოდა, რომელიც დასავლეთის მესამე მაიგაშირას ტიტულს ფლობს. ბალტიისპირელმა ტუნიდაშის ილეთით აჯობა ქართველს. ოთხი დღის შემდეგ ტოჩინოშინს ორი გამარჯვება და ორი მარცხი აქვს.

დღეს ჩვენებურები მორიგ ბრძოლებს გამართავენ. კოკაის შეერკინება აღმოსავლეთის მეშვიდე მაიგაშირა ტოიონოშიმა, რომელსაც ოთხიდან სამი ბრძოლა წაგებული აქვს. ტოჩინოშინის მეტოქე კვლავ გამოცდილი და ძლიერი სუმოისტი იქნება. ლევან გორგაძეს შეეჭიდება აღმოსავლეთის მეოთხე მაიგაშირა მიაბიამა, რომელმაც ოთხიდან ორი ბრძოლა მოიგო.

## მუდმივმოქმედი არბიტრაჟი , დავების განმხილველი ცენტრი" DDRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით

სხდომის დღის პუბლიკაციის მიზნით

DDRC- ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი რესპუბლიკა"-ს

საარბიტრაჟო პრეტენზია გრიგოლ ბუაძის, იოსებ მაღრაძის, შპს არსიანი-ადანაიას'', დალი თენიეშვილის, აკაკი ასათიანის მიმართ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 22 ივლისს 14:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ დავების განმხილველ ცენტრში'' შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, 1-ლი სართული.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე გრიგოლ ბუაძე მცხ: ნუცუბიძის ფერდ., Mმე-4 მ/რ, კორპ. 9, ბ. 20, იოსებ მაღრაძე მცხ: დ. დიღომი, ი. პეტრიწის 9, ბ. 23, შპს არსიანი-ადანაია'' მის: ალ. ყაზბეგის 44, დალი თენიეშვილი მცხ: ნუცუბიძის 1-ლი მ/რ, კორპ. 12, ბ. 22, აკაკი ასათიანი მცხ: ქ. თბილისი, აკოფიანის ქ. N1.

## მუდმივმოქმედი არბიტრაჟი , დავების განმხილველი ცენტრი" DDRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით

სხდომის დღის პუბლიკაციის მიზნით

DDRC- ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი რესპუბლიკა"-ს

საარბიტრაჟო პრეტენზია Gგიორგი გაბუნიას მიმართ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 27 ივლისს 15:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ დავების განმხილველ ცენტრში'' შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, 1-ლი სართული.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე Gგიორგი გაბუნია მცხოვრები ქ. ქუთაისი, თაბუკაშვილის N44, ბ. 11.

9 ივლისი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი"
DRC-ს სასამართლო

## მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟოO პრეტენზია კახა თებიძის, მაყვალა ქათამაძისა და ჯემალ ბერიძის მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **22 201.43 აშშ დოლარის** ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 23 ივლისს 13:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე კახა თებიძე, მცხ: ბათუმი, ფიროსმანის ქ.N3; ალტ.მის. ბათუმი, დიმიტროვის ქ.N7, მაყვალა ქათამაძე, მცხ: ბათუმი, დიმიტროვის ქ.N7; ალტ.მის. ხელვაჩაური, სოფელი ყოროლისთავი; რეგ.მის. ქედა, სოფელი აბუქეთა და ჯემალ ბერიძე, მცხ: ბათუმი, თაბუკაშვილის ქ.N47; რეგ.მის. ქედა, სოფელი აბუქეთა.

## მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ,დავების განმხილველი ცენტრი" DDRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით

სხდომის დღის პუბლიკაციის მიზნით

DDRC- ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი რესპუბლიკა"-ს

საარბიტრაჟო პრეტენზია ვლადიმერ სურმავას მიმართ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 27 ივლისს 15:30 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ დავების განმხილველ ცენტრში'' შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, 1-ლი სართული.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე ვლადიმერ სურმავა მცხოვრები მარტვილი, სოფ. ნაგვაზაო, ალტ. მის. ქუთაისი, რუსთაველის 152.

13 ივლისი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი"
DRC-ს სასამართლო

## მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია მარინე კოკოლაძის, ლიზო კოკოლაძისა და ზაირა ბედიაშვილის მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **7 180.50 ლარის** ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 3 აგვისტოს 14:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე მარინე კოკოლაძე, მცხ მცხ: ქ.თბილისი, მოსკოვის გამზ. 5 კვ., კორპ.N4, ბინა N27, ლიზო კოკოლაძე, მცხ: ქ.თბილისი, გლდანი, ფეიქრების ქ.N12; ალტ. მის. ქ.თბილისი, ზიგზაგის ქ.N1 და ზაირა ბედიაშვილი, მცხ: ქ.თბილისი, ვაზისუბანი 3 მკრ., 2 კვ., კორპ.N3, ბინა N9.

## განცხადება ღია კონკურსის ჩატარების შესახებ

ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროექტი

კრედიტი No. 3702-GE

**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი**, ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროექტის ფარგლებში, იწვევს გამოცდილ ადგილობრივ არქიტექტურულ/საინჟინრო ფირმებს გამოხატონ ინტერესი **ქ. გორის საოჯახო მედიცინის რეგიონალური კლინიკის და სასწავლო ცენტრის რეაბილიტაციისათვის საჭირო არქიტექტურული დიზაინის შესამუშავებლად და საავტორო ზედამხედველობის განსახორციელებლად**. დავალების მიზანია ქ. გორის სამშობიარო სახლის ნაწილობრივი (დაახლ. 1500 კვ.მ.) გარემონტება და აღჭურვა საოჯახო მედიცინის რეგიონალური კლინიკის და სასწავლო ცენტრის შემდგომი განთავსებისათვის, კერძოდ

**არქიტექტურულ/საინჟინრო ფირმამ უნდა განახორციელოს შემდეგი სამუშაოები:**

- შეიმუშაოს არქიტექტურული მონახაზი;
- შეიმუშაოს საბოლოო არქიტექტურული დიზაინი (პროექტები);
- მოამზადოს სამშენებლო სამუშაოებისა და მასალების, საინჟინრო სპეციალური სამუშაოების, აგრეთვე, საოფისე და სამედიცინო აღჭურვილობისა და ავეჯის ჩამონათვალი და სპეციფიკაციები.
- სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და ობიექტის აღჭურვისა და დაკომპლექტების მიმდინარეობის პროცესში განახორციელოს საავტორო ზედამხედველობა სტანდარტებთან და პროექტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
- წარმოადგინოს რეგულარული ანგარიშები სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

**შენიშვნა:** ფირმამ უნდა მოამზადოს ყველა ნახაზი არქიტექტურულ კომპიუტერულ პროგრამაში (ArchiCad /AutoCad-ში).

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

1. მინიმუმ 3 წლის გამოცდილება შესაბამის დარგში;
2. მინიმუმ 3 მსგავსი განხორციელებული პროექტი;
3. ფირმის წამყვან სპეციალისტებს უნდა გააჩნდეთ კვალიფიკაცია და გამოცდილება შესაბამის დარგში.

**სამუშაოების ხანგრძივობაა 15 თვე (რაც მოიცავს: 2 თვეს არქიტექტურული დიზაინის მოსამზადებლად).**

**ადგილობრივი საკონსულტაციო ფირმა** შერჩეული იქნება კვალიფიკაციის მიხედვით, მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოს შასაბამისად: "დაქირავებულ კონსულტანტთა შერჩევა და სამუშაოზე აყვანა მსოფლიო ბანკისგან მსესხებლების მიერ", 2004 წელი (შესწორებულია - 2006 წელს).

გთხოვთ, ინტერესის შემთხვევაში გამოგვეხმაუროთ წერილობით. ინტერესის გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს:

1. მოკლე ინფორმაცია თქვენ ფირმაზე;
2. მსგავსი განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი და საილუსტრაციო მასალები (ბუკლეტები, ფოტოები და ა.შ.);
3. ინფორმაცია ფირმის ძირითადი პერსონალის შესახებ (კვალიფიკაციისა და გამოცდელების აღწერილობა - CV).

ინტერესის წერილები უნდა წარმოადგინოთ **2009 წლის 30 ივლისს 17 სთ-მდე** შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული,**

**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი**

**ტელ/ფაქსი: +995 (32) 388210, 388220,**

**საკონტაქტო პირი: იანა სამხარაძე, შესყიდვების კოორდინატორი**

## განცხადება

შსს სსიპ-სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტს გამოაქვს სარეალიზაციოდ ხანგრძლივ შენახვაზე მყოფი ვადაგასული მატერიალური ფასეულობები ლითონის ჯართის სახით. ფასი განისაზღვრება რეალიზაციის პერიოდში არსებული საბაზრო ფასიდან გამომდინარე, ხოლო რაოდენობა მყიდველზე გადაბარების დროს.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ მოგვმართონ მ/წლის 25 ივნისამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ.გულუას ქ.N8, IV სართული. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელ: 41-17-83, 41-17-84.

**სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი**

## საქართველოს საგადასახადო - საბაჟო აკადემიის განცხადება

აკადემიურ თანამდებობეზე ვაკანსიების შესახებ "გაზეთ - 24 საათის" 2009 წლის 26 ივნისის N142 -ში გამოქვეყნებული განცხადებაში საბუთების მიღების ვადა გაგრძელებულია 2009 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით, ხოლო კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება 2009 წლის 3 აგვისტოს.

**აკადემიის ადმინისტრაცია**

# შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს კონკურსს

**თბილისის სამგზავრო-სავაგონო ცენტრის შენობაში,სასადილოს მოწყობის მიზნით 42.65 კვ.მ ფართის დროებით სარგებლობაში, იჯარის ფორმით გაცემის შესახებ**

**1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები**

- **საიჯარო ქონების მისამართი-** ქ. თბილისი, ასკურავას ქ. N1
- **იჯარით გასაცემი ფართი -** 42. 65 კვ.მ
- **საწყისი საიჯარო ქირა თვეში -** 30 ლარი (დღგს-გარეშე)
- **"ბე" -** 30 ლარი
- **იჯარის ვადა -** 3 წელი

**- განაცხადების მიღების ადგილი - ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს " საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული**
ტელ: 56 33 48; 56 65 10

**- განაცხადების მიღების ვადა** - 2009 წლის 16 ივლისიდან 2009 წლის 29 ივლისის ჩათვლით, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე.

**- კონკურსის ჩატარების ადგილი და დრო** - მონაწილის წინადადებების შემცველი კონვერტების გახსნის თარიღი - 2009 წლის 30 ივლისი. ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციულ შენობაში 14:00 საათზე.

**- შპს "საქართველოს რკინიგზის" საბანკო რეკვიზიტები** - "ბანკი რესპუბლიკა", ცენტრალური ფილიალი, ა/აN3407003205, ბანკის კოდი N220101757, საიდენტიფიკაციო კოდი N202886010.

**- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ** - საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

**2. კონკურსის პირობები**

2.1 მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის ყოველთვიურად გადახდა.
2.2 მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს, იჯარით აღებული ქონების მოვლა-პატრონობა, ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოების და სანიტარული ნორმების დაცვა.
2.3 იჯარით აღებულ ფართზე, კომუნალურ გადასახადებსა და დაცვის ხარჯებს იხდის მოიჯარე;
2.4 ხელშეკრულების მოშლის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 7 ივნისის N1-1/875 ბრძანებით დამტკიცებული "სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ" დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომა. შპს "საქართველოს რკინიგზის" დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, რომ საწარმოს, საკუთარი მიზნებისათვის ესაჭიროება საიჯარო ფართი, მოიჯარე ვალდებულია გაფრთხილებიდან 1 თვის ვადაში გაანთავისუფლოს აღნიშნული ფართი.

***3.* საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმები**

საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმია: საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და მაქსიმალური საწყისი საიჯარო ქირის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საიჯარო ქირას.

**4. იჯარის ხელშეკრულების დადება**

4.1 კონკურსის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში, გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს საქართველოს რკინიგზასთან~ გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება.
4.2 მიჯარე ვალდებულია, ყოველ 6 თვეში ერთხელ, შპს "საქართველოს რკინიგზას" წარუდგინოს ანგარიში, იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.
4.3 სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მოიჯარე იღებს გაფრთხილებას წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად. ამასთან, თუ მოიჯარე დაარღვევს საიჯარო ქირის გადახდის ვადებს იგი ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით (ჯარიმა მოიჯარეს ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე).
4.4 თუ გაფრთხილებით გათვალისწინებულ ვადაში მოიჯარე არ აღმოფხვრის დარღვევას ან უარს განაცხადებს ჯარიმის გადახდაზე, შპს "საქართველოს რკინიგზას" უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს იჯარის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში მოიჯარე კარგავს გაწეული ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

**5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები**
5.1 დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს საიჯარო ქონების დასახელება და კონკურსანტის თანხმობა, გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე.
5.2 კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ. წინადადებები საიჯარო ქირის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის (მითითებით, დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე ასეთი წინადადებები არ განიხილება)
5.3 **"ბე"-ს გადახდის ქვითარი -** "ბე" გადაიხდება შპს "საქართველოს რკინიგზის" ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით.
5.4 კონკურსში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
5.5 იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ, სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.
5.6 კონკურსში მონაწილეთა ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.
5.7 კონკურსის მონაწილეს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ კონვერტის გახსნას. ამასთან, მონაწილეთა წინადადებებს საკონკურსო კომისია იხილავს მათი დასწრების გაერშე.
5.8 გადაწყვეტილება, კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ ცხადდება, როგორც წესი, კონვერტის გახსნის დღეს. ამასთან, საკონკურსო კომისიას უფლება აქვს გადაწყვეტილება საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს კონვერტის გახსნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.
5.9 კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ კონკურსის გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი ან წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის პირობებს.

**6. შენიშვნები და დათქმები**
6.1 მოიჯარეს გადახდილი "ბე" ჩაეთვლება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბოლოო თვის ანგარიშსწორებისას.
6.2 დადგენილი ვადის შემდეგ შემოსული საკონკურსო განაცხადი არ მიიღება.
6.3 განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება მისი რეგისტრაციის თარიღით.
6.4 თუ განაცხადების მიღების ბოლო დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის, იმავე საათზე.
6.5 მეიჯარეს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს შეუფერხებლად დაათვალიეროს იჯარით გაცემული ქონება, მათ შორის შეამოწმოს მოიჯარის მიერ ტექნიკური უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მდგომარეობა.
**საიჯარო ქონებაზე დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია**
**შპს "საქართველოს რკინიგზაში"**
ტელ.: 56 33 48;
56 65 10;

---

**United Nations Development Programme**

**UNDP Georgia**

UN DP

გაეროს განვითარების პროგრამა აცხადებს ტენდერს

საწვავის შესყიდვაზე

სატენდერო წინადადება შეგიძლიათ იხილოთ გაეროს განვითარების პროგრამის ვებ-გვერდზე: www.undp.org.ge. წინადადებების მიღების ბოლო ვადა არის 2009 წლის 27 ივლისი 17:00 საათი.

---

**United Nations Development Programme**

**UNDP Georgia**

UN DP

**United Nations Development Programme in Georgia is pleased to announce an Invitation to Bid to enter into a Long Term Agreement for the supply of Fuel by using the corporate electronic fuel card system for the period of one year.**
**Bids must be delivered on or before 27 July 2009, 17.00 CET.**
**For detailed documentation please refer to the UNDP web site at www.undp.org.ge.**

---

ჰაიდელბერგცემენტი
HEIDELBERGCEMENT

**შპს "ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი"**
**აცხადებს ტენდერს**
**შ.პ.ს "საქცემენტის" (რუსთავის და კასპის ცემენტის ქარხნები) და შ.პ.ს "ქართული ცემენტისათვის"**
**ვიდეო-მონიტორინგის სისტემის**
**შესყიდვა, მონტაჟსა და ექსპლუატაციაში შეყვანაზე.**

დაინტერესებულ კომპანიებს სატენდერო მასალების წაღება შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან, ქვემოთ მოცემულ მისამართზე.
შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი"
წინამძღვრიშვილის N 90, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 47 47 47
+995 77 57 75 12
ელ. ფოსტა: tamriko.darakhvelidze@heidelbergcement.ge
თამარ დარახველიძე
წინადადებების შემოტანის ბოლო ვადაა: 2009 წლის 28 ივლისი

---

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსს გათბობის სისტემისათვის ესაჭიროება 300 კილოვატი სიმძლავრის გათბობის ქვაბი. შესყიდვის მეთოდი: ერთ- პირთან მოლაპარაკებით.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა ფიზიკურმა და/ან იურიდიულმა პირებმა საკუთარი შემოთავაზებები უნდა წარმოადგინონ მიმდინარე წლის 22 ივლისის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N3, თსუ II კორპუსი, შესყიდვების განყოფილება. საკონტაქტო ტელ: 877-55-53-73

## ტენდერი პროფესიული მომზადების კურსების უზრუნველყოფისათვის

**[Ref: TF/PU/GEO/HCR/09022/TE0405/001]**

**PREMIERE URGENCE**

საერთაშორისო ჰუმანიტარული არასამთავრობო ორგანიზაცია პრემიერ ურჯენსი, რომელიც მოქმედებს საფრანგეთის კანონმდებლობით და ფინანსდება გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარის მიერ (UNHCR), იწვევს მოტივირებულ პირებს მიიღონ მონაწილეობა ტენდერში და მოგვაწოდონ თავიანთი წინადადებები შემდგომზე:

- პროფესიული მომზადების კურსების უზრუნველყოფა
- კურსების მსმენელთა ტრანსპორტირება ადგილმდებარეობის მიხედვით

**ლოტი 1: მოსამზადებელი კურსები:**

- 6 მოსამზადებელი კურსი: ავტომანქანის ტარების შესწავლა (კატეგორია B და C), კომპიუტერის პროგრამების შესწავლა ( ძირითადად Microsoft Office- ი) დალაქის სპეციალობა, მასაჟის სპეციალობა, მზარეულის სპეციალობა, ფილების დაწყობის ხელობა
- კურსების დამსწრეების საერთო რაოდენობა : **408** მსმენელი (უმეტესობა იძულებით ადგილნაცვალი პირები)
- კურსების ხანგრძლივობა : 3-დან 5 თვემდე
- შენიშვნა : კურსები ჩატარდება მსენელთათვის ადვილად მისაწვდომ ტერიტორიაზე (შიდა ქართლი)

**ლოტი 2 : მსმენელთა ტრანსპორტირება**

3-დან 5 თვის განმავლობაში შიდა ქართლის ტერიტორიაზე 28 ადგილიდან მოსამზადებელი კურსების 408 მსმენელთა ტრანსპორტირება.

დაინტერესებულ - ლიცენზირებულ სასწავლო ინსტიტუტებს და სატრანსპორტო კომპანიებს შეუძლიათ მიიღონ სათანადო დოკუმენტები 2009 წლის 21 ივლისს, სამშაბათს, 9-დან 6 საათამდე :

-პრემიერ ურჯენსის თბილისის ოფისში : ზანდუკელის ქ. № 5,
ტელ.: (822) 98 24 56. საკონტაქტო პირი - პიერ ვიშიონი
- პრემიერ ურჯენსის გორის ოფისში : ბესარიონ ჯულაშვილის ქ № 4,
ტელ.: (8270) 7 96 25. საკონტაქტო პირი - გაიოზ ყუბანეიშვილი

## განცხადება

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით აცხადებს აუქციონს, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით არსებულ შემდეგ ქონებაზე:

ლოტი N1. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჭოპორტი-საგურამოს მიმართულებით მდებარე 2500 გრძივი მეტრის, 700 მმ დიამეტრის, (კედლის სისქე 5 მმ) მქონე ფოლადის გაზის მილი.

ა) საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვრება 77750 (სამოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარით;

ბ) აუქციონში მონაწილის წინასწარი შენატანის - ბე"-ს სიდიდე განისაზღვროს 7775 (შვიდი ათას შვიდას სამოცდთხუთმეტი) ლარით;

გ) ბიჯის სიდიდე განისაზღვროს 3888 (სამი ათას რვაას ოთხმოცდარვა) ლარით;

დ) მონაწილის ბილეთის ფასი განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლარით.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განცხადებები მიიღება საინფორმაციო ცნობის პრესაში პირველივე გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში, 2009 წლის 16 ივლისის 1000 სთ/დან 2009 წლის 14 აგვისტოს 1100 სთ/მდე. Aაუქციონი გაიმართება 2009 წლის 14 აგვისტოს 1200 სთ/ზე.

აუქციონში მონაწილეობისათვის ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუდმივმოქმედ სააუქციონო კომისიას განცხადებასთან ერთად უნდა წარუდგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

იურიდიული პირისათვის:

ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა (რწმუნება), თუ პირი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

სადამფუძნებლო დოკუმენტაციის (წესდების) დამოწმებული ასლი;

"ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი საბუთი (დედანი ასლთან ერთად);

ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი ასლთან ერთად);

პირადობის მოწმობის ასლი.

ფიზიკური პირისათვის:

"ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი საბუთი (დედანი ასლთან ერთად);

ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი ასლთან ერთად);

პირადობის მოწმობის ასლი.

"ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს შმედეგ ანგარიშზე:

მიმღები: დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

საინდენტიფიკაციო კოდი: 229324451.

ანგარიში: 33030001.

მიმღების ბანკი: საქართველოს სახალხო ბანკის დუშეთის ფილიალი.

ბანკის კოდი: 220101403.

გადახდისას უნდა მიეთითოს დანიშნულება.

აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები: დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

საინდენტიფიკაციო კოდი: 229324451.

ანგარიში: 33030001.

მიმღების ბანკი: საქართველოს სახალხო ბანკის დუშეთის ფილიალი.

ბანკის კოდი: 220101403.

გადახდისას უნდა მიეთითოს დანიშნულება.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას შემდეგ მისამართზე:

ქ. დუშეთი, სტალინის ქ. N27.

ტელ: 895 229 729; 8 (246) 2 19 74.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7) აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, ცხვედაძის ქ. N34ა-ს მიმდებარედ არსებული ფერდობის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**1. შესყიდვის ობიექტი -** ქ. თბილისში, ცხვედაძის ქ. N34ა-ს მიმდებარედ არსებული ფერდობის საყრდენი კედლის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

***საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების სავალდებულო ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1,5 (თვენახევარი) თვე;***

2. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 5 აგვისტოს 11:00 საათიდან 2009 წლის 5 აგვისტოს 16:00 საათამდე, მისამართზე: **ქ.თბილისი, ჟ. შარტავს ქუჩა N7, მეორე სართული, ოთახი N8 ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური**.

3. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**3.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ)ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**3.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**3.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:**

ა) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ბ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიციკაციის და გამოცდილების შესახებ, მ. შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;

გ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

4.პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

*შენიშვნა: მომსახურების გასაწევად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-3 მუხლის მიხედვით;*

*ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.*

5.თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღების დასახელება**: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიში: N200122900, ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174.

**გადახდის დანიშნულება** - სატენდერო მოსაკრებელი**, ქ. თბილისში, ცხვედაძის ქ. N34ა-ს მიმდებარედ არსებული ფერდობის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების** სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

7.სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 16 ივლისიდან 2009 წლის 5 აგვისტოს 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

8.პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

9.შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

10. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე, ცირა მაღრაძე, ტელეფონი - (995-32) 37-85-72

**სატენდერო კომისია**

# განცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო სასაზღვრო პოლიცია აცხადებს საერთაშორისო ტენდერს რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა კოდი 220101222, სახაზინო კოდი: 302006600, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ქ. თბილისი ს. კანდელაკის №12 მე-3 სართული, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. **სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა ა/წ 17 ივლისიდან 06 აგვისტოს 18:00 საათამდე.**

1. **შესყიდვის ობიექტი:**

| ლოტი № | დასახელება | ზ/ე | რა-ბა | მიწოდების ადგილი | მიწოდების ვადა |
|---|---|---|---|---|---|
| №1 | ზაფხულის საველე ფორმა (მუქი ლურჯი) | კომპ. | 2000 | ქ. თბილისი | გრაფიკის შესაბამისად |
| №2 | ზაფხულის საველე ფორმა (კომუფლირებული) | კომპ. | 7000 | | |
| №3 | ფეხსაცმელი მაღალყელიანი მამაკაცის | წყ. | 6000 | | |
| №4 | ზამთრის ფორმა მუქი ლურჯი | კომპ. | 900 | | |
| №5 | ზამთრის ფორმა კომუფლირებული | კომპ. | 3300 | | |
| №6 | წინდა შალის | წყ. | 12000 | | |
| №7 | საბანი | ც. | 500 | | |
| №8 | ბალიში | ც. | 500 | | |
| №9 | თეთრეული | კომპ. | 3000 | | |
| №10 | პულოვერი მუქი ლურჯი | ც. | 1000 | | |
| №11 | ქამარი | ც. | 4000 | | |
| №12 | ქურთუკი, პარკა მუქი ლურჯი | ც. | 900 | | |
| №13 | ქურთუკი, პარკა მწვანე ფერის | ც. | 3300 | | |
| №14 | მაისური მწვანე ფერის | ც. | 14000 | | |
| №15 | მაისური მუქი ლურჯი | ც. | 4000 | | |
| №16 | საწვიმარი ლაბადა | ც. | 4000 | | |

2. მიწოდების ვადაა - 2009 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.
3. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 07 **აგვისტოს 10:00 საათიდან 12:00 საათამდე** მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიცია, ს. კანდელაკის ქ. №12.
4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
გ) ცნობა შესაბამისი უწყებიდან რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების და რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
4. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.
5. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.
6. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს. დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებები არ განიხილება და გაუხსნელად უბრუნდებათ პრეტენდენტებს.
7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.
8. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 1%-ის ოდენობით (გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს წინადადების მოქმედების ვადას) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 2 %-ის ოდენობით.
9. პრეტენდენტის განაცხადის, საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა და შერჩევა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოაღნიშნულ მისამართზე 2009 წლის 07 აგვისტოს 12 საათზე.
10. დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.
11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში ტელ. 37-63-84;

**სატენდერო კომისია**

**1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.**

# მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე

## საქართველო

## რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი

კრედიტის ნომერი: N4516 GE

**ახმეტის რაიონის (კახეთის რეგიონი) სოფ. ომალოს წყალსადენის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროექტი**

RMIDP/OMALO/CW/NCB/43-2009

წინამდებარე მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე მოჰყვება ზოგად სატენდერო განცხადებას მოცემული პროექტისათვის, რომელიც გამოქვეყნდა Development Business-ის N729 ნომერში 2008 წლის 30 ივნისს.

საქართველომ მიიღო კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან (IDA) რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და განზრახული აქვს ამ კრედიტის სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისთვის: **ახმეტის რაიონის (კახეთის რეგიონი) სოფ. ომალოს წყალსადენის სისტემის რეაბილიტაციისათვის** (კონტრაქტის N RMIDP/OMALO/CW/NCB/43-2009).

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ და კვალიფიცირებულ კონკურსის მონაწილეებს **ახმეტის რაიონის (კახეთის რეგიონი) სოფ. ომალოს წყალსადენის სისტემის სარეაბილიტაციო** სამუშაოების ჩასატარებლად. ობიექტი მდებარეობს **საქართველოს აღმოსავლეთით, კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობზე, თუშეთში**.

**სამშენებლო სამუშაოების ძირითადი მოცულობები:**

- წნევის დამგდები ჭების მოწყობა:

DD=1.0მ, DD=2.0მ ანაკრები რკ/ბეტონის ჭები - 6 ცალი;

- წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია:
- D=89 მმ ლითონის წყალსადენი - 2720 გრძ. მ.
- D=76 მმ ლითონს წყალსადენი - 3824 გრძ. მ.
- გრუნტის სამუშაოები - 5956 მ3;
- საქლორატოროს მშენებლობა - 1 ცალი:
- W=100 მ3 მოცულობის რეზერვუარი - 1 ცალი.

სამუშაოების ხანგრძლივობაა 3 თვე.

საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის მიერ 2004 წლის მაისში გამოცემული და 2006 წლის ოქტომბერში კორექტირებული „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებაში" აღწერილი საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს, სახელმძღვანელო დებულებაში განსაზღვრული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00-დან 18:00 საათამდე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში ქვემოთ მოცემულ მისამართზე, ელ. მისამართი: procurement@mdf.org.ge; აღმასრულებელი დირექტორი - ბ-ნი ლაშა გოცირიძე.

დაინტერესებულ კონსკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი ქართულ ენაზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის არაანაზღაურებადი 200 ლარის (ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის) გადახდის შემდეგ, რასაც დაემატება კურიერის მომსახურების ხარჯები (კურიერის საჭიროების შემთხვევაში). გადახდა ხორციელდება თანხის გადარიცხვით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შემდეგ საბანკო ანაგარიშზე:

**მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო**
**უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)**
**ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)**
**SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY**
**SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104**

საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს შემდეგს:

კონტრაქტის მისაღებად კონკურსის მონაწილემ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი კრიტერიუმები და წარმოადგინოს ქვემოთ მოცემული მინიმალური მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები:

1. კონკურსანტის საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს არანაკლებ 2,0 მილიონი ლარის ექვივალენტი;
2. კონტრაქტის განხორციელებისათვის საჭირო ლიკვიდური აქტივების ან საბრუნავი კაპიტალის მინიმალური ოდენობა, უნდა იყოს 0,4 მილიონი ლარი.

საკონკურსო წინადადები ქვემოთ მოცემულ მისამართზე წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 2009 წლის 17 აგვისტოს 14:00 საათისა. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება.

